სახვითი ხელოვნება

სახელმძღვანელო

7

AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi ***Üzeyir Hacıbəylinin,***

sözləri ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ქამალა ჯაფარზადე
მეხსეთი მამედოვა

სახვითი ხელოვნება

7

სახელმძღვანელო
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-7
კლასის მოსწავ-ლეთათვის

სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული მოსაზრებები,
შენიშ ვნები და წინადადებები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ
შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
yazneshr@.mail.ru და derslik@edu.gov.az
ჭინასწარ გიხდიტ მადლობას ტანამსრომლობისატვის!

YAZNƏŞR
ბაკუ – 2017

შინაარსი

1. სახვითი ხელოვნება შუა საუკუნეებში

1. შუა საუკუნეების ქანდაკება 8

2–3. არქიტექტურული სტილები 11

4. აზერბაიჯანის არქიტექტურული სკოლები 17

5. მონუმენტური ფერწერა 22

2. ჟანრები სახვით ხელოვნებაში

6. ყოფის ასახვა მინიატურებში 28

7. მითოლოგიური სახეები სახვით ხელოვნებაში 32

8. შუქ-ჩრდილი სახვით ხელოვნებაში 36

9. ავტოპორტრეტი 40

10. ადამიანის გამოსახულება სიუჟეტურ ნამუშევრებში 43

11. ადამიანის გამოსახულება ქანდაკებაში 46

3. ეპოქა, ხალხი და სამოსი

ევროპის ხელოვნება

12. ქსოვილი, ფერი და ორნამენტი 50

13. ევროპული თავსაბურავები 53

14–15. კოსტიუმის როლი საზოგადოებაში 55

16. არისტოკრატიის სამოსი მხატვართა ნახატებში 59

აზერბაიჯანის ხელოვნება

17. აზერბაიჯანული თავსაბურავები 63

18–19. საუკუნეთა საგანძური: აზერბაიჯანული ეროვნული სამოსი 66

20. სამოსის მოდა და დიზაინი: თანამედროვე სტილები 71

4. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული დიზაინი

21. ხელით შექმნილი საოცრებები 78

22. ნახჭებით გაუკვდავებული ცხოვრება 80

23. დრო და ჭურჭელი 83

24–25. ავეჯის დიზაინი და დეკორი 86

26. ინტერიერის დიზაინი 90

27. მსოფლიოს მუზეუმები 94

სახელმძღვანელოსთან გაცნობა

სახელმძღვანელოს თითოეულ თემაში სასწავლო მასალები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. **დიალოგი ხელოვნებაზე** და **გაიხსენე** – ადრე მიღებულ ცოდნაზე გათვლილი კითხვები, ნახატები და ცნებები, რომლებსაც თემისადმი ინტერესის აღძვრა შეუძლიათ.
2. **გაეცანი** – მასალა დამოუკიდებლად კითხვისა და განხილვისათვის. წარმოდგენილია ინფორმაცია სახვითი ხელოვნების ისტორიის, საზოგადოებაში მისი როლის შესახებ, სხვადასხვა სქემები და ცხრილები.
3. **დიდი შემოქმედები –** აზერბაიჯანისა და მსოფლიოს გამოჩენილ ხელოვანთა შემოქმედების გაცნობა.
4. **სამხატვრო გალერეა –** აზერბაიჯანისა და მსოფლიოს შემოქმედთა გრაფიკის, ფერწერის, ქანდაკებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გაცნობა.
5. **კითხვები განხილვისათვის** – კითხვები დასაფიქრებლად, სადისკუსიოდ, თეორიული მასალის ანალიზისათვის.
6. **ეს საინტერესოა** და **იცი თუ არა?** – თემასთან დაკავშირებული ყურადსაღები ფაქტები და მოვლენები თვალსაწიერის გასაფართოვებლად.
7. **დაფიქრდი და ახსენი** – შემოთავაზებული მსჯელობის ახსნა.
8. **ოსტატის რჩევები –** შემოქმედებითი დავალებების შესრულებისათვის საჭირო წესები, ახალი ღირებული ინფორმაცია შემოქმედებისათვის.
9. **დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის** – დავალებები თემასთან დაკავშირებული ახალი ცოდნისა და უნარების გამყარებისა და გამოყენებისათვის, გამოსახულების თანმიმდევრობის დამხმარე მეთოდიკები.
10. **განსაზღვრე** და **შემოქმედებითი საქმიანობა** – დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები არჩევით.
11. **შეამოწმე შენი თავი** და **განმაზოგადებელი დავალებები** – კითხვები და დავალებები დამოუკიდებლად შეფასებისა და დაგროვილი ცოდნის განზოგადებისათვის.

–რესურსები (თემასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის გამოსაყენებელი მასალა).

1

სახვითი ხელოვნება შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეებისა* და აღორძინების ხანის აღმოსავლური და ევროპული ხელოვნების ქმნილებები (არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა, ფერწერა და ქანდაკება) მსოფლიო კულტურის ფასდაუდებელი განძია.

* შუა საუკუნეები – ათასწლოვანი ისტორიული პერიოდი (V–XIV), რომელიც ანტიკურ ხანას მოსდევდა და ახალი დროის წინამორბედი იყო.

1. შუა საუკუნეების ქანდაკება

დიალოგი ხელოვნებაზე
სახვითი ხელოვნების რომელ დარგში გამოიყენება ცნებები „გამოქანდაკება“, „პლასტიკა“? რას აღნიშნავენ ისინი?

გაიხსენე

რითი განსხვავდება მრგვალი ქანდაკება რელიეფისაგან? მოიყვანე შენს ქალაქში არსებული ქანდაკების მაგალითები.

სახვითი ხელოვნების დარგს, რომლის ძირითადი ობიექტია ადამიანის, ცხოველების და ა. შ. მოცულობითი გამოსახულება, **ქანდაკება** ეწოდება.

შუა საუკუნეებში ქანდაკების განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული არქიტექტურასთან. ღმერთებისა და მმართველების ქანდაკებებით, ძირითადად, ტაძრებს ამკობდნენ. ქანდაკების მეშვეობით ოსტატები გადმოსცემდნენ ადამიანის შინაგან სამყაროს, მის ხასიათს, ასევე ადამიანის სხეულს მოძრაობაში. ამით განსხვავდებოდა შუა საუკუნეების ქანდაკება ანტიკური ხელოვნებისაგან, სადაც აქცენტი ადამიანის სხეულის სილამაზის ასახვაზე კეთდებოდა.

გაეცანი

განვითარების კვალდაკვალ ქანდაკება შემდეგ დარგებად[1] დაიყო:

მონუმენტური ქანდაკება ქანდაკების ერთ-ერთი უძველესი დარგია და საკულტო, მემორიალური დანიშნულება აქვს.

[1] **დარგი** – სახვით ხელოვნებაში, სახეებსა და ჟანრებთან ერთად, შედარებით მსხვილი დაყოფაა. ქანდაკების სახეები – მრგვალი და რელიეფი; ჟანრები – პორტრეტი, ანიმალისტური და ა. შ.

მონუმენტურ ქანდაკებას განეკუთვნება ერთფიგურიანი და მრავალფიგურიანი კომპოზიციები, ცხენიანი ქანდაკებები, მემორიალური ანსამბლები, გამოჩენილ ადამიანთა სამახსოვრო მონუმენტები და რელიეფები.

მონუმენტური ქანდაკება გათვლილია შორი მანძილიდან აღქმაზე.

ქანდაკების დარგს, რომელიც მჭიდრო კავშირშია არქიტექტურასა და ბუნების ლანდშაფტთან, მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკება ეწოდება. ასეთი ქანდაკებებით აფორმებენ შენობების ფასადებსა და ინტერიერებს, ხიდებს, შადრევნებს, მცირე არქიტექტურულ ფორმებს.

დაზგური ქანდაკება სკულპტურული კომპოზიციის სხვადასხვა სახეებს მოიცავს: თავს, ბიუსტს, ფიგურას, ჯგუფს. ასეთი ქანდაკება ახლო მანძილიდან აღქმაზეა გათვლილი და არ არის დაკავშირებული საგნობრივ გარემოცვასა და არქიტექტურასთან. ჩვეულებრივ, დაზგური ქანდაკების ზომა ნატურალურ ზომას უახლოვდება.

იაპონიის ხელოვნება. *დიდი ბუდას ქანდაკება („ბუდა“ ნიშნავს „გასხივოსნებულს“). ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან. სიმაღლე – 11,4 მეტრი, წონა – 93 ტონა. 1252*

ინდოეთის ხელოვნება. *ტაძარი კაილასანათჰა ელორაში. VII–VIII სს.*

ჩინეთის ხელოვნება. *მეომრების ტერაკოტის (იტალიური სიტყვიდან terra – მიწა და cotta – გამომწვარი) ფიგურები იმპერატორ ცინ შიხუანდის აკლდამასთან (ნატურალური ზომები). მასალა: თიხა. შემთხვევით აღმოაჩინეს 1976 წელს.*

დაფიქრდი და ახსენი

რა მსგავსებაა ქანდაკების სხვადასხვა დარგების განვითარებაში?

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

პლასტილინი და თიხა, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

განსაზღვრე

1. რა არის ქანდაკების თავისებურებები? რით განსხვავდება სკულპტურის დარგები?

რომაული დაზგური ქანდაკება. კარაკალა. III საუკუნე. მარმარილო. დიდი გატჩინის სასახლე, თეთრი დარბაზი. რუსეთი

ანტიკური მონუმენტური ქანდაკება. ნიკე სამოთრაკიელი. ჩვ. წ. აღ-მდე 190 წ. მარმარილო. ლუვრი. პარიზი

შუა საუკუნეების მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკება. კელნის რატუშა. XII საუკუნე. გერმანია

შემოქმედებითი საქმიანობა

2. გამოძერწე დაზგური ქანდაკების ნიმუში. ეს შეიძლება იყოს თავი, ბიუსტი, ფიგურა ან ფიგურების ჯგუფი.

ოსტატის რჩევები

ძირითადი წესები ძერწვისას:

პირველი წესი: *ყველა ქანდაკებას უნდა ჰქონდეს პოსტამენტი (ძირი, კვარცხლბეკი). იგი საჭიროა საყრდენად და საერთო კომპოზიციისათვის.*

მეორე წესი: *მუშაობა უნდა დაიწყოს გამოსახულების ძირიდან და არა ზემოდან. ქანდაკება ქვემოდან ზემოთ უნდა იზრდებოდეს.*

3. მახსოვრობით, ან ნატურიდან, დახატე შენი სახლის, ქუჩის ახლომახლო მდებარე ქანდაკებები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული არქიტექტურასთან და ბუნების ლანდშაფტთან.

შეამოწმე შენი თავი

✓ როგორი ქმნილებები განეკუთვნება არქიტექტურასთან სინთეზში არსებულ მონუმენტურ ხელოვნებას?

✓ მოიტანე ქანდაკების მაგალითები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია არქიტექტურასთან და ბუნების ლანდშაფტთან და რომლებსაც წინა კლასებში გაეცანი.

2-3. არქიტექტურული სტილები

დიალოგი ხელოვნებაზე
არქიტექტურის რომელი ძეგლები იქცა ქვეყნების ან ქალაქების სიმბოლოებად? რით განსხვავდება არქიტექტურული ნაგებობები და ანსამბლები?

გაიხსენე

ძველი სამყაროს რომელი არქიტექტურული ძეგლებია ყველაზე ცნობილი?

არქიტექტურა ქალაქის, სახელმწიფოს, მთლიანად ეპოქის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. რომელიმე ქალაქში ჩასვლისას, ნახულობ სასახლეებს, ტაძრებს, საცხოვრებელ სახლებს, მოედნებსა და პროსპექტებს, რომლებიც სრულიად განსხვავებული **არქიტექტურული სტილითაა**[1] ნაგები. მათ სილამაზესა და დიდებულებას შეუძლია, ადამიანში აღძრას ამაღლებული გრძნობა და განწყობა. სწორედ სტილის მიხედვით ვსაზღვრავთ, რომელ ეპოქაში აიგო ისინი, ვიგებთ სხვადასხვა უცხო ხალხის წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, კულტურისა და ისტორიის შესახებ.

[1] **არქიტექტურული სტილი** – არქიტექტურის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა. არქიტექტურული სტილების განვითარება დამოკიდებულია კლიმატურ, ტექნიკურ, რელიგიურ და კულტურულ ფაქტორებზე.

არქიტექტურული სტილი პირობითი ცნებაა, ის საშუალებას იძლევა, თვალყური მივადევნოთ არქიტექტურის განვითარებას. გამოყოფენ გლობალური მნიშვნელობის არქიტექტურულ სტილებს:

არქიტექტურული სტილი	**წარმოქმნის ეპოქა**	**წარმოქმნის ქვეყანა**
ანტიკური	ჩვ. წ. აღ-მდე VIII ს. – ჩვ. წ. ა. V ს.	ძველი საბერძნეთი და რომი
ბიზანტიური	VI საუკუნე	ბიზანტია
რომანული	X-XII საუკუნეები	რომი
გოტიკა	XII-XVI საუკუნეები	ევროპის ქვეყნები
აღორძინება	XIV-XVII საუკუნეები	ევროპის ქვეყნები
ბაროკო	XVI-XVII საუკუნეები	იტალია
როკოკო	XVIII საუკუნე	საფრანგეთი

ანტიკური სტილის ნათლად გამოსარჩევი ნიშნებია მჭიდროდ მდგომი მსხვილი სვეტები. ასეთი შეხამება ხელს უწყობდა მასიურობისა და დიდებულების შეგრძნების შექმნას.



სვეტების სქემა

ანტიკური სტილი. პართენონი. ჩვ. წ. აღ-მდე 447 – ჩვ. წ. ა. 438 წელი. საბერძნეთი

ბიზანტიური არქიტექტურული სტილის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად იქცა ყელი – ცილინდრული ჩანართი გუმბათსა და კედლებს შორის. ბიზანტიურ არქიტექტურაში, რელიგიურობასთან ერთად, იგრძნობა დახვეწილი დეკორატიულობა, ბრწყინვალე სანახაობრიობისაკენ სწრაფვა.



ყელის სქემა

ბიზანტიური სტილი. წმინდა სოფიას ტაძარი. სტამბოლი. 532–537 წწ. თურქეთი

რომანული სტილისათვის[1] დამახასიათებელია კარ-ფანჯრის ღიობის თაღოვანი ფორმა.

თაღების სქემა

პიზის ტაძარი. 1173-1360. იტალია

გოტიკურ სტილს ახასიათებს წაგრძელებული და ისრისებური (შეისრული) თაღები, ვიწრო და მაღალი კოშკები, მდიდრულად მორთული ფასადი მოჩუქურთმებული დეტალებით და ფერადი ვიტრაჟული სარკმლები. გოტიკა, დიდწილად, არქიტექტურული გაფორმების სტილი უფრო იყო, ვიდრე თავად არქიტექტურისა.

[2] **რომანული სტილი** (ლათ. *romanus* – რომაული) წარმოიქმნა ყოფილი რომის იმპერიის ტერიტორიაზე, რომელიც დასახლებული იყო რომანული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხით.

❖ აღწერე გოტიკური ტაძრის დამახასიათებელი ნიშნები.





1. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (Notre Dame de Paris). 1163-1345. საფრანგეთი

2. არქიტექტურული გაფორმების სქემა

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ოფიციალური საიტი
http://www.notredamedeparis.fr/

აღორძინების ხანა, ანუ **რენესანსი** გულისხმობდა ანტიკურობის ფასეულობებთან დაბრუნებას. ამ ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური არქიტექტურის ფორმებს: სიმეტრიას, პროპორციებს, გეომეტრიასა და შემადგენელი ნაწილების წესრიგს. შუა საუკუნეების შენობათა რთულ პროპორციებს ანაცვლებს მოწესრიგებულად განლაგებული სვეტები, ხოლო ასიმეტრიულ მოხაზულობებს – თაღის ნახევარწრე, გუმბათისა და ნიშის ნახევარსფერო.

აღორძინების ხანის სტილი. ტაძარი სანტა-მარია-დელ-ფიორე – ნიშნავს „ყვავილების წმინდა მარიამს“ (Cattedrale di Santa Maria del Fiore). 1296-1436. იტალია

❖ აღორძინების ხანის რომელ დიდ მხატვრებსა და არქიტექტორებს იცნობ?

სანტა-მარია-დელ-ფიორეს ტაძრის ოფიციალური საიტი
http://operaduomo.firenze.it/

სხვადასხვაგვარი მდიდრული ორნამენტები, ნათელი ფერები, ფორმების დიდებულება, მრავალფეროვანი დეკორატიული ელემენტები იქცა **ბაროკოს სტილის** განმასხვავებელ ნიშნებად.

ბაროკოს სტილი. წმინდა პეტრეს საკათედრო ტაძარი (Basilica di San Pietro). 1629. ვატიკანი

როკოკოს არქიტექტურულმა სტილმა ბაროკო ჩაანაცვლა. თუკი ბაროკოსათვის დამახასიათებელია მონუმენტურობა და მასიურობა, როკოკოში, პირიქით, უპირატესობა ენიჭება დახვეწილობასა და სიმსუბუქეს.

როკოკოს სტილი. ვერსალის სასახლე. 1661. საფრანგეთი

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

განსაზღვრე

1. აღნიშნე არქიტექტურული სტილების დამახასიათებელი ნიშნები, გადახაზე ალბომში ცხრილი და შეავსე.

სტილის სახელი	წარმოქმნის დრო (ეპოქა)	დამახასიათებელი ნიშანი	მხატვრული მახასიათებლები	არქიტექტურულ ნაგებობათა სახელები
ანტიკური				
ბიზანტიური				
რომანული				
გოტიკური				
აღორძინება				
ბაროკო				
როკოკო				

მხატვრული მახასიათებლები

2. დახატე ერთ-ერთი სტილის არქიტექტურული ნაგებობის საესკიზო ვარიანტი. ეცადე, აჩვენო ამ სტილის დამახასიათებელი თავისებურება. ყურადღება მიაქციე თემატურ ნიმუშებს.

3. მოაგროვე სხვადასხვა წყაროდან დამატებითი ინფორმაცია სტილების შესახებ შუა საუკუნეების არქიტექტურაში.

შეამოწმე შენი თავი

✓ რა თავისებურებები ახასიათებს შუა საუკუნეების არქიტექტურას?

✓ რა გავლენა იქონია შუა საუკუნეების სტილებმა თანამედროვე არქიტექტურაზე?

4. აზერბაიჯანის არქიტექტურული სკოლები

დიალოგი ხელოვნებაზე
რა ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან შენობები, ნაგებობები, ანსამბლები?

გაიხსენე

აზერბაიჯანის რომელ არქიტექტურულ ძეგლებს იცნობ?

შუა საუკუნეების აზერბაიჯანელმა ხუროთმოძღვრებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს არქიტექტურის მსოფლიო მემკვიდრეობაში. სამწუხაროდ, შუა საუკუნეების აზერბაიჯანის ხელოვნების ზოგიერთ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლს სპარსულად თვლიან ხოლმე.

გაეცანი

შუა საუკუნეებში აზერბაიჯანში იქმნება არქიტექტურის სხვადასხვა სკოლა.

არქიტექტურის სკოლა	**შექმნის დრო**
არანული	V–IX საუკუნეები
შირვან-აფშერონული	X–XI საუკუნეები
ნახიჩევანური	XII–XIV საუკუნეები
თავრიზული	XIII–XIV საუკუნეები

არქიტექტურის არანული სკოლის (განჯაში, ბარდაში, შამქირში და ბელაქანში მდებარე) ბევრი ნაგებობა მიწისძვრის ან მტრის შემოსევის დროს დაინგრა.

არანული სკოლის ისეთი მარგალიტებიდანაც კი, როგორებიცაა შამქირის ციხესიმაგრე მინარეთებით და ყუთლუ მუსას მავზოლეუმი, ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევებმა მოაღწია.

შამქირის კოშკი. მხატვარი დიუბუა დე მონპერე. 1314

ყუთლუ მუსას მავზოლეუმი. 1314

❖ რისთვის აშენებდნენ მავზოლეუმებს? რომელი მავზოლეუმები იცი აზერბაიჯანში?

კავკასიის ალბანეთის პერიოდის ზოგიერთი ძეგლის დეტალებმა – თავად ძეგლის თავდაპირველი ფორმის შენარჩუნების მიუხედავად – ჩვენამდე ვერ მოაღწია. ესენია შუა საუკუნეების (V–IX საუკუნეების) არქიტექტურის არანული სკოლის ძველი ციხესიმაგრეები, ტაძრები, **მონასტრები**[1], რომლებიც ყველაზე ნათლად ცხადყოფენ აზერბაიჯანის არქიტექტურის მდიდარ და ძველ ტრადიციებს.

ასეთ ნაგებობათა შორისაა წმინდა ელისეს ტაძარი შექში (II საუკუნე), აგოგლანის მონასტერი ლაჩინში (IX საუკუნე), ხუდავენდის სამონასტრო კომპლექსი ქალბაჯარში და შუა საუკუნეების სხვა ნაგებობები, რომლებიც ალბანური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშებია.

[1] **მონასტერი** – ტაძრების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების კომპლექსი, სადაც განსაზღვრული წესდების (წესების კრებულის) მიხედვით ცხოვრობენ მორწმუნეები.

ხუდავენდის სამონასტრო კომპლექსი. VI–VII საუკუნეები. ქალბაჯარი

არქიტექტურის შირვან-აფშერონის სკოლისათვის დამახასიათებელია ქვების კონსტრუქციებისა და ადგილობრივ კირქვაში ნაკვეთი მცენარეული ორნამენტების გამოყენება. ამ სკოლის უძველესი ძეგლია ქალწულის კოშკი – შუა საუკუნეების ბაქოს სიმბოლო. ამავე სკოლას განეკუთვნება ბიბიეიბათის მეჩეთი, შირვანშაჰების სასახლის კომპლექსი, ბაილოვირ ციხესიმაგრე, თავდაცვითი ნაგებობებიდან კი – ციხესიმაგრეები მარდაკანში, ნარდარანში და სხვ.

ქალწულის კოშკი. XII ს. ბაქო

შირვანშაჰების სასახლის კომპლექსი. XIII–XVI საუკუნეები. ბაქო

აზერბაიჯანის არქიტექტურული სკოლების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ნახიჩევანის სკოლას**. ამ სკოლის ძეგლები გამოირჩევა აგურებით შექმნილი კომპოზიციური ორნამენტების სიმდიდრითა და გეომეტრიული ფორმების სიმკვეთრით. ამ სკოლის შემოქმედების მწვერვალია აჯემი აბუბაქრ ნახიჩევანის მიერ აგებული ძეგლები.

იუსიფ იბნ კუისერის მავზოლეუმი. 1162. ნახიჩევანი

მომინე ხათუნის მავზოლეუმი. 1186. ნახიჩევანი

❖ დაასახელე აჯემი ნახიჩევანის შემოქმედების განმასხვავებელი ნიშნები.

XIII საუკუნეში, დედაქალაქის თავრიზში გადატანასთან დაკავშირებით, ეს ქალაქი ბრწყინვალე არქიტექტურულ კომპლექსად იქცა. **არქიტექტურის თავრიზის სკოლის** შესანიშნავი ძეგლებისათვის დამახასიათებელია გაფორმების სიმდიდრე, დეკორის მრავალფეროვნება და, ამასთანავე, კომპოზიციური მთლიანობა, მოტივებისა და ფორმების მხატვრულობა. აზერბაიჯანის არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიმუშია ცისფერი მეჩეთი თავრიზში.



ცისფერი მეჩეთი. 1465 წ. თავრიზი

შუა საუკუნეებში აზერბაიჯანი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი გავლენიანი ცენტრი იყო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მუსლიმური სამყაროს არქიტექტურის განვითარებაში.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, მუყაოს ყუთები, ქსოვილი, თიხა და პლასტილინი, მავთული

განსაზღვრე

1. რა სამშენებლო მასალაა ყველაზე მეტად გავრცელებული შენი ქალაქის, სოფლის ან დასახლების არქიტექტურაში? რა საერთო არქიტექტურული ნიშნები აქვთ ნაგებობებს – კონსტრუქცია, კარ-ფანჯრის ფორმა, მორთულობა? როდის აშენდა ისინი და რა არის საერთო მათ შორის?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დაამზადე ნებისმიერი ნაგებობის მაკეტი მზა ფორმის (ყუთი, შეფუთვა) გამოყენებით. გაამდიდრე იგი ქაღალდის, მავთულის, ქსოვილის, თიხის, პლასტილინის და ა. შ. ელემენტებითა და მორთულობებით.

3. შექმენი შენი ქალაქის ან სოფლის შენთვის მოსაწონი შენობების ჩანახატები. ამისათვის წადი ექსკურსიაზე და ყურადღებით დაათვალიერე ისტორიული და თანამედროვე ნაგებობები. იპოვნე მათი გარეგნული იერსახის საერთო ნიშნები.

შეამოწმე შენი თავი

✓ რომელი გეომეტრიული ფორმები უდევს საფუძვლად აზერბაიჯანის არქიტექტურული სკოლების წარმოდგენილ ძეგლებს?

✓ რა მსგავსება და განსხვავებაა აზერბაიჯანის არქიტექტურასა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ხუროთმოძღვრებას შორის?

5. მონუმენტური ფერწერა

დიალოგი ხელოვნებაზე

რა ეწოდება ფერწერის შესრულების ტექნიკებს, რომლებიც ხუროთ-მოძღვრების განვითარებასთანაა დაკავშირებული და როგორ შეიქმნა ისინი?







1-2. შექის ხანების სასახლე. კედლის ფრაგმენტები. XVIII საუკუნე. შექი
3. „სულთანი სანჯარი და დედაბერი“. მეტროსადგურ „ნიზამის“ გაფორმების ფრაგმენტი. მიქაელ აბდულაევი. 1976. ბაქო

გაიხსენე

რა არის ფრესკა, ვიტრაჟი და მოზაიკა?

შუა საუკუნეებში ფერწერა სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი დარგი იყო. ფერწერას, რომელიც დაკავშირებულია არქიტექტურასთან და ამშვენებს შენობების კედლებს, იატაკებსა და ჭერებს, **მონუმენტური** ეწოდება. შესრულების ტექნიკის მიხედვით მონუმენტურ ფერწერაში გამოყოფენ *ფრესკას, ვიტრაჟს, მოზაიკას*. მონუმენტურ ფერწერას შორიდან უნდა ვუმზიროთ.

გაეცანი

მონუმენტური ფერწერა		
ფრესკა	**ვიტრაჟი**	**მოზაიკა**
წყლის საღებავებით სველ ბათქაშზე შესრულებული ფერწერის ნიმუშები	გამჭვირვალე ფერადი ან მოხატული მინის ნაჭრებისაგან დამზადებული დეკორატიული ან სიუჟეტური კომპოზიცია	გამოსახულების მისაღებად გამოიყენება ფერადი ქვები, სმალტა, კერამიკული ფილები და სხვ.

მონუმენტური ფერწერა სათავეს უძველეს წარსულში იღებს, განვითარების უმაღლეს დონეს კი აღორძინების ხანის მხატვართა წყალობით აღწევს.

მიქელანჯელო. „საშინელი სამსჯავრო“. ფრესკა. სიქსტეს კაპელის ინტერიერი. 1537–1541. ვატიკანი

გოტიკურ ტაძარში ფრესკის ადგილს **ვიტრაჟი** იკავებს. ვიტრაჟი არა მხოლოდ ტაძრის ინტერიერის მორთულობა იყო, არამედ სინათლის ძირითად წყაროსაც წარმოადგენდა.

ნოტრ-დამის ტაძარი. შარტრი. 1194–1220. საფრანგეთი

დაფიქრდი და ახსენი

როგორ გესმის მსჯელობა: „ვიტრაჟი მინის სურათია, რომლის ფერებიც არასდროს ხუნდება“?

სან-ვიტალეს ეკლესიის მოზაიკა რავენაში. იმპერატორი იუსტინიანე. ფრაგმენტი. 527–548. იტალია

შუა საუკუნეებში, ტაძრების მორთვისას, **მოზაიკა**[1] მონუმენტური ფერწერის ძალზე პოპულარული სახე იყო. ფრესკისაგან განსხვავებით ის ფერს არ კარგავს, ნახატი არ ხუნდება და მისი განახლება საჭირო არ ხდება. ბიზანტიელებს ეკუთვნის მოზაიკის იატაკიდან კედელზე გადატანის იდეა. ისინი იყვნენ „სმალტად წოდებული“ გაუმჭვირვალე და ძალიან მტკიცე ფერადი მინის პირველაღმომჩენები.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

გუაში ან აკვარელი, ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, წებო

განსაზღვრე

1. რომელ კომპოზიციურ მოტივებს ასახავენ ბაქოს მეტროსადგურ „ნიზამის“ მოზაიკა და შექის ხანების სასახლის ვიტრაჟი-შებეკე?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. ეცადე, დახატო ვიტრაჟის ან მოზაიკის ესკიზი. მოიფიქრე კომპოზიციის სიუჟეტი და კოლორიტი. ამ დავალების შესრულება შეიძლება ფერადი ქაღალდით – აპლიკაციის ტექნიკით ან კომპიუტერში, პროგრამა PAINT-ით.

[1] **მოზაიკა** წარმოდგება ლათინური სიტყვიდან musivum – „მუზებისადმი მიძღვნილი“. მოზაიკა კერამიკის, გაუმჭვირვალე მინის, უბრალო ქვების, სმალტის და ა. შ. გამოყენებით მიღებული ფერადი გამოსახულებაა კედელზე, იატაკზე ან ჭერზე.

ოსტატის რჩევები

შეგიძლია, ამ ესკიზების ნიმუშები გამოიყენო. მაგალითისათვის, ხატვის თანმიმდევრობა:

1.



2.



3.





3. მოამზადე შუა საუკუნეების მონუმენტური ფერწერისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია.

შეამოწმე შენი თავი

- ✓ მონუმენტური ფერწერის რომელი ტექნიკებია ყველაზე მეტად ცნობილი?
- ✓ რა შეიძლება ითქვას არქიტექტურასა და მონუმენტურ ფერწერას შორის არსებულ კავშირზე?

განმაზოგადებელი დავალებები

1. განსაზღვრე ქანდაკების ნიმუშების დარგები:
*მონუმენტური *მონუმენტურ-დეკორატიული *დაზგური

ეგვიპტის ხელოვნება. დიდი სფინქსი. 2700 წელი ჩვ. წ. აღ-მდე

ინდოეთის ხელოვნება. შივა ცეკვის ღმერთ ნატარაჯას სახით. X–XII საუკუნეები. ბრინჯაო. ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი. ლონდონი



აზერბაიჯანის ხელოვნება. აზერბაიჯანის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის ლოჯია. 1939. ბაქო

2. **გამოარჩიე გოტიკურ სტილში აგებული შენობა.**

ჰეიდარ ალიევის ცენტრი. არქიტექტორი ზაჰა ჰადიდი. 2012. ბაქო

ისმაილიეს სასახლე. არქიტექტორი იოსიფ პლოშკო. 1907. ბაქო

3. *დაასახელე მონუმენტური ფერწერის სახეები.*

2

ჟანრები სახვით ხელოვნებაში

ჟანრები საშუალებას იძლევა – გამოსახული საგნებისა და მოვლენების მიხედვით – ჯგუფებად გავაერთიანოთ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშები. თითოეულ ეპოქას თავისი საყვარელი ჟანრი და გამოსახვის ფორმები აქვს. ყველა დროში ყოფითი სცენების ისტორია სამყაროსა და ადამიანზე წარმოდგენის მხატვრული ხორცშესხმის ისტორიაა.

6. ყოფის ასახვა მინიატურებში

დიალოგი ხელოვნებაზე

რა ეწოდება სურათებს, რომლებიც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს?

1. ილგარ აკპეროვი. „ზანზალაკების მომაჯადოებელი ხმა – ქარავნის მუსიკა“
2. ფირანგიზ ჰუსეინოვა. „გოგონა სათამაშოთი“

გაიხსენე

რა არის ქმნილების შინაარსი? რა ცნების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა არის სურათზე გამოსახული?

სახვით ხელოვნებაში ჟანრებად დაყოფა განსაკუთრებით ცხადად ვლინდება ფერწერაში. ჟანრები, პირველ რიგში, გამოსახულის შინაარსით განსხვავდება. მაგალითად, ბუნების გამოსახულებას პეიზაჟი ჰქვია, ნივთებისას – ნატურმორტი, ადამიანისას – პორტრეტი, ცხოვრებისეული მოვლენებისას – სიუჟეტურ-თემატური სურათი. თავის მხრივ, ყოველ ჟანრს აქვს ქვედანაყოფები – **ჟანრული ნაირსახეობები**, რომლებსაც, ზოგჯერ, ასევე **ჟანრებად** მოიხსენიებენ.

გაეცანი

სიუჟეტურ სურათებს შემდეგი ჟანრული ნაირსახეობები გააჩნიათ:

სიუჟეტური სურათები				
ისტორიული	**ბატალური**	**ყოფითი**	**ანიმალისტური**	**ზღაპრულ-მითოლოგიური**
წარსულის ისტორიულ მოვლენათა ან გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ასახვა	ომისა და საომარი ყოფის ასახვა	ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ასახვა	ცხოველების ასახვა	ზღაპრების, საგმირო თქმულებების, მითების სცენების ასახვა

დაფიქრდი და ახსენი

როგორ ვითარდებოდა ყოფითი ჟანრი ხელოვნებაში?

კლდის ფერწერა. „ირმებზე ნადირობა“. ესპანეთი

კედლის მოხატულობა. „ყოფითი სცენები“. ეგვიპტე

ძველბერძნული ლარნაკწერა. „დიონისე მეკობრეთა ნავზე“. გერმანია

სიუჟეტური ხალიჩა. „ნადირობა“. აზერბაიჯანი

შუა საუკუნეებში **ყოფითი ჟანრი** მინიატურის ხელოვნებაში გაიფურჩქნა. შუა საუკუნეების მხატვართა მნიშვნელოვან მიღწევად იქცა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი მინიატურა. მინიატურის თავრიზის სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატი იყო მუზაფარ ალი.

სამხატვრო გალერეა

ყოფითი ჟანრი მუზაფარ ალის მინიატურებში

ნიზამის პოემა „ლეილმაჯნუნიანის“ მინიატურა. XVI ს. თეირანი. გულისტანის სასახლე

„ჭაბუკი უფლისწულის პორტრეტი ყვავილებით“. XVI ს. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ბოსტონი

„იუსუფი ჭიდან ამოდის“. „შვიდი ტახტის“ მეჩეთი. XVI ს. ფრერის გალერეა. ვაშინგტონი

დაფიქრდი და ახსენი

ყოველდღიური ცხოვრების რა სცენები და მოვლენები ასახა მხატვარმა?

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
	მუზაფარ ალი ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	XVI საუკუნე
დაბადების ადგილი	ყაზვინი, ირანი
განათლება	სწავლობდა ბეჰზადის სახელოსნოში
სტილი და ტექნიკა	ორნამენტი, კალიგრაფია, ფერწერა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი
ცნობილი სურათები	„იუსუფი ჭიდან ამოდის“, „ქაბუკი უფლისწულის პორტრეტი ყვავილებით“, პოემა „ლეილმაჯნუნიანის“ მინიატურები, ორმოცი სვეტის სასახლის დარბაზების მოხატულობა.

მუზაფარ ალი ხატავდა ჟანრულ სცენებს სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებით, რომლებსაც მათთვის ტრადიციული სამოსი ეცვათ. იგი გამოსახავდა არა მხოლოდ ნადირობისა და საბრძოლო სცენებს, არამედ დღესასწაულებს, სამეფო კარის გართობებს, კლასიკური ლიტერატურის პოეტურ სიუჟეტებს, უფრო იშვიათად – შაჰისა და მის ვეზირთა პორტრეტებს.

შაჰის ბრძანებით იგი მონაწილეობდა ფირდოუსის „დიდი თავრიზული შაჰნამეს“ და ნიზამის ცნობილი „ხამსეს“ ილუსტრირებაში.

მხატვრის მინიატურები აღმოსავლური ხელოვნების უნიკალური ნიმუშებია.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

განსაზღვრე

1. რით განსხვავდება გამოსახულებები?



შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე ყოფითი ჟანრის კომპოზიცია ნებისმიერ თემაზე. გაითვალისწინე ყოფითი ჟანრის ზოგადი თემატიკა: საოჯახო ცხოვრების, მისი ტრადიციების, ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი დღეების ასახვა. წინასწარ მოიფიქრე მომავალი ნამუშევრის სიუჟეტი. რამდენი ადამიანი იქნება მასზე ასახული? სად (ბუნების წიაღში, სახლში) და როდის (დღის რომელ მონაკვეთში) განვითარდება მოქმედება? აირჩიე სურათის ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატი.

ოსტატის რჩევები

მუშაობის დაწყებამდე, სქემატური ნახატების მეშვეობით, შეგიძლია დასახატი ადამიანის ბევრი პოზა მოსინჯო და შენთვის საჭირო შეარჩიო. გარდა ამისა, ასე უფრო გამოჩნდება, დაეტევა თუ არა ფიგურა ფურცელზე. ამგვარად, სქემატური გამოსახულება გეხმარება მომავალი სურათის დაგეგმვაში.

3. შეადგინე სქემა, რომელშიც, უძველესი დროიდან მოყოლებული, აისახება ყოფითი ჟანრის განვითარების ეტაპები. როგორ ასახავენ თანამედროვე შემოქმედები ამ ჟანრს ქანდაკებაში, გრაფიკასა და ფერწერაში?

სახვითი ხელოვნების დარგები	ყოფითი ჟანრის განვითარების ეტაპები		
	უძველესი დრო	წარსული ეპოქები	თანამედროვეობა
ქანდაკება			
გრაფიკა			
ფერწერა			

შეამოწმე შენი თავი

✓ სახვითი ხელოვნების რომელ ჟანრებს იცნობ?

✓ როგორაა წარმოდგენილი ყოფითი ჟანრი არქიტექტურასა და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში?

7. მითოლოგიური სახეები სახვით ხელოვნებაში

დიალოგი ხელოვნებაზე

რა ეწოდება სურათებს, რომლებზეც გამოსახულია ზღაპრის გმირები და მითოლოგიური არსებები?

პაოლო უჩელო. „წმინდა გიორგი კლავს დრაკონს“. 1470. ლონდონი

სადიყ-ბეგ აფშარი. „სიმურგი ჩვილ ზალას იტაცებს გაფის მთებში“. 1590. ირლანდია

გაიხსენე

კიდევ რომელ მითოლოგიურ სახეებს იცნობ?

ლეგენდების, თქმულებების, რელიგიური მოთხრობებისადმი მიძღვნილ ჟანრს **მითოლოგიური** ეწოდება. სხვადასხვა ხალხების მითებიდან აღებული სიუჟეტებით ნასაზრდოები მითოლოგიური ჟანრი შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა, თუმცა ჯერ კიდევ ანტიკურ ხელოვნებაში გაჩნდა, აღორძინების ხანაში კი გაიფურჩქნა.

აზერბაიჯანული მითოლოგია მდიდარია ფანტასტიკური სახეებით, ლეგენდებითა და თქმულებებით. კავკასიის ხალხების ფოლკლორში, მცირე და შუა აზიაში გავრცელებული მითოლოგიური სახეებია: *ფრინველი სიმურგი, დევი, ციკლოპი, დრაკონები* და ა. შ.

იცი თუ არა?

ტეპეგოზი, თურქულ მითოლოგიაში, ცალთვალა გოლიათია (ციკლოპი), რომელსაც ადამიანის იერი აქვს. განსხვავება მხოლოდ სიმაღლე და ერთი თვალია. სიტყვა „ტეპე“ თურქულ ენებზე ნიშნავს კეფას, „გოზ“ კი – თვალს.

სიმურგი – მითიური არსება, ფრინველთა მეფე. მითებში სიმურგი, უმეტესად, სამართლიანობისა და ბედნიერების ფრინველია.

დრაკონი – ფრთოსანი გველი ხვლიკის ტანითა და ღამურის ფრთებით, რომელსაც შეუძლია ფრენა, შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე თავი და ცეცხლოვანი სუნთქვა.

აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის, რასიმ ბაბაევის ბევრი ქმნილება ზღაპრებს ეძღვნება. ფერში განსხეულებული ზღაპარი, გაცოცხლებული ფოლკლორი, ფანტაზიის თავისუფლება, სიღრმისეული და არა ზედაპირული ხედვა აისახა მის ფერწერაში.

1960-იანი წლების დასაწყისში მხატვარს შესთავაზეს დაესურათებინა აზერბაიჯანში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ზღაპარი „ჯირტდანი“. სწორედ მაშინ დაიწყო მან დევის – ბავშვიჭამია, საშინელი, ბანჯგვლიანი მონსტრის ხატვა. ამის შემდეგ ეს დევი იქცა მისი სურათების ერთგვარ სიმბოლოდ.

დევი რასიმ ბაბაევის ქმნილებებში მრავალთავა და მრავალხელა რქიანი არსებაა, რომელსაც საზარელი ეშვები აქვს და ამ ეშვებით აშინებს ერთი ბეწო, უმწეო ადამიანებს. მხატვრის სურათებზე ეს თეთრი ეშვები ლურჯთან, იისფერთან და ჟოლოსფერთან კონტრასტში განსაკუთრებულად შემზარავი მოჩანს.

სამხატვრო გალერეა

მითოლოგიური ჟანრი რასიმ ბაბაევის ქმნილებებში

„დევი თასით“. 1998

„დევნილები შინ“. 1990

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
	**რასიმ ჰანიფა ოღლუ ბაბაევი** ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	31.12.1927 – 24.04.2007
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელი (ფერწერის ფაკულტეტი); მოსკოვის სურიკოვის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტი
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი (1988)
სტილი და ტექნიკა	ლითოგრაფია, ფერწერა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	ფანტასტიკური პერსონაჟები, ფერადი აქლემების ქარავნები, უბრალო ბერიკაცები და კეკლუცი ბებიები
ცნობილი სურათები	„გაზაფხული“ (1973), „ომის ვეტერანი“ (1976), „დაჭრილი დევი“ (1981), „აქლემი“ (1989), „დევნილები“ (1986), „ჩიტების ორთაბრძოლა“ (2005)

რასიმ ბაბაევი აფშერონის სკოლის – XX საუკუნის ბოლო ათწლეულების აზერბაიჯანული ხელოვნების თავისებურების განმსაზღვრელი მხატვართა ჯგუფის – ყველაზე ნიჭიერ ფერმწერთა შორისაა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აკვარელი, გუაში, პასტელის ცარცები

განსაზღვრე

1. როგორია კოლორიტი რასიმ ბაბაევის ფერწერაში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. შექმენი ნახატი მსოფლიოს ხალხთა რომელიმე მითის სიუჟეტის ან შენთვის ცნობილი აზერბაიჯანული ზღაპრის, ლეგენდის მიხედვით. რა აისახება შენს ნახატში? შეგიძლია, გამოიყენო ნიმუშები.

ტეპეგოზი	*სიმურგი*	*დრაკონი*

3. (ა) შექმენი შენი, ორიგინალური მითიური არსება.
(ბ) მოიძიე დამატებითი ინფორმაცია და მოამზადე პრეზენტაცია რასიმ ბაბაევის შემოქმედებასა და ცნობილ ქმნილებებზე.

შეამოწმე შენი თავი

✓ კიდევ რომელი მითოლოგიური სახეები აქვთ სხვადასხვა ხალხებს?
✓ რა არის მითოლოგიური ჟანრის თავისებურება? რა განასხვავებს მას ყოფითი ჟანრისაგან?

8. შუქ-ჩრდილი სახვით ხელოვნებაში

დიალოგი ხელოვნებაზე
რა როლს ასრულებს შუქი და ჩრდილი ხელოვნების ქმნილებებში?

თეატრის სცენის განათება

რაშიდ ალეკპეროვი. „აღმოსავლური ქალაქი“. ინსტალაცია[1]

გაიხსენე

ახსენი შუქ-ჩრდილის[2] გრადაცია ქოთნის გამოსახულებაში.





[1] **ინსტალაცია** – (ინგლ. *Installation – დაყენება, განთავსება, მონტაჟი* – თანამედროვე ხელოვნების ფორმა) წარმოადგენს სივრცობრივ კომპოზიციას, რომელიც სხვადასხვა ელემენტისაგან შედგება (საყოფაცხოვრებო საგნები, სამრეწველო ნაწარმი, ბუნებრივი ობიექტები). მას არ ხატავენ, არამედ დგამენ, ადგენენ, ქმნიან სხვადასხვა ნაწილისაგან.

[2] **შუქ-ჩრდილი** სახვით ხელოვნებაში – საგნის მოცულობის გადმოცემის ხერხი და გამომსახველობის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

[3] **ათინათი** – მკვეთრად განათებული ადგილი საგნის ზედაპირზე.

სახვით ხელოვნებაში შუქ-ჩრდილს აღორძინების ხანიდან იყენებენ. პირველად თავის შემოქმედებაში შუქ-ჩრდილს იყენებს და თეორიულად ამუშავებს ლეონარდო და ვინჩი. უმაღლეს განვითარებას შუქ-ჩრდილი აღწევს კარავაჯოსა და რემბრანდტის შემოქმედებაში.

დიდი იტალიელი მხატვარი, ბაროკოს[4] ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ოსტატი კარავაჯო მარჯვედ იყენებდა განათებას თავის ნამუშევრებში. ჟესტების უბრალოება, შუქისა და ჩრდილის კონტრასტი და კოლორიტის ინტენსივობა კარავაჯოს სურათებზე ემოციურ დაძაბულობას ქმნის.

სამხატვრო გალერეა
შუქ-ჩრდილი კარავაჯოს ქმნილებებში

„ხილის კალათი“. 1596. მილანი

„ქაბუკი ბარბითით“ („ბარბითის დამკვრელი“). 1595. ერმიტაჟი. სანკტ-პეტერბურგი

რა ჟანრებია წარმოდგენილი მხატვრის ქმნილებებში?

კარავაჯოს შემოქმედებამ უდიდესი გავლენა იქონია მომავალი თაობების ფერმწერთა შემოქმედებაზე.

[4] **ბაროკოს ფერწერა** – ბაროკოს ხანის ფერწერული ქმნილებები XVI–XVII საუკუნეების კულტურაში.

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
	მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯო (*Michelangelo Merisi da Caravaggio*) ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	29.09.1571 – 18.07.1610
დაბადების ადგილი	მილანი, იტალია
განათლება	მილანი, პეტერცანოს სახელოსნო
წოდებები და ჯილდოები	რეალისტური მიმართულების ფუძემდებელი XVII ს-ის ევროპულ ხელოვნებაში
სტილი და ტექნიკა	ბაროკო, რეალიზმი, ფერწერა
ქმნილებების თემები	ყოფითი და მითოლოგიური ჟანრი: სიკვდილისა და სნეულების თემა, ადამიანის მარტოობა, უბრალო ხალხის ცხოვრება, ხილის კალათები
ცნობილი სურათები	„დავითი და გოლიათი“, „მკითხავი“, „მადონა გველით“, „ბიჭი“, „ავადმყოფი ვაკხი“, „მედუზა გორგონა“, „მუსიკოსები“, „ჭაბუკი ხილის კალათით“

საიტი კარავაჯოს შემოქმედებაზე
http://www.caravaggio.ru/

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

აკვარელი, გუაში, პასტელის ცარცები, ფერადი ფანქრები

განსაზღვრე

1. განსაზღვრე შუქის წყაროს მდებარეობა. რომელი განათება უფრო უკეთ ავლენს ფორმას?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე ხილის, ბოსტნეულისა და ჭურჭლის ნატურმორტი. ეცადე, სწორად განალაგო საგნები ფურცლის მთელ სიბრტყეზე. განსაზღვრე კომპოზიციური ცენტრი და შუქის წყაროს მდებარეობა. ნატურმორტის ხატვისას, შეგიძლია, ამ თანმიმდევრობას მიჰყვე.





3. მოიძიე და წარმოადგინე დამატებითი ინფორმაცია კარავაჯოს შესახებ.

შეამოწმე შენი თავი

✓ შუქ-ჩრდილის როგორი გრადაციები ეხმარება მხატვარს, გამოსახოს საგნების მოცულობა?

✓ განმარტე შუქ-ჩრდილის როლი სახვით ხელოვნებაში. დაასახელე მაგალითები.

9. ავტოპორტრეტი

დიალოგი ხელოვნებაზე
რატომ ქმნიან მხატვრები თავიანთ პორტრეტებს და რა ეწოდება ასეთ სურათებს?

ლეონარდო და ვინჩი


ალბრეხტ დიურერი

რაფაელ სანტი

გაიხსენე
როგორი პორტრეტები არსებობს გამოსახულების ხასიათის მიხედვით?

აღორძინების ხანა პორტრეტისა და მისი ნაირსახეობის – ავტოპორტრეტის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის, დაბადებისა და აყვავების პერიოდად იქცა. **ავტოპორტრეტი** – საკუთარი თავის პორტრეტი – შესაძლებელია ფერწერაში, ქანდაკებასა და გრაფიკაში.

ბევრი შემოქმედი ქმნიდა ავტოპორტრეტს. ერთ-ერთი მათგანი იყო დიდი რემბრანდტი, რომელმაც თავისი თავის ურიცხვი გამოსახულება შექმნა.

სამხატვრო გალერეა

რემბრანდტის შინაგანი სამყარო ავტოპორტრეტებში

1634. , ბერლინის სახელმწიფო მუზეუმი

1640. ლონდონის ეროვნული გალერეა

1656. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი, ვენა

1659. ხელოვნების ეროვნული გალერეა, ვაშინგტონი, აშშ

1661. კენვუდ-ჰაუზი, ლონდონი

1669. ლონდონის ეროვნული გალერეა, დიდი ბრიტანეთი

ჰოლანდიელმა მხატვარმა რემბრანდტმა სახელი გაითქვა, როგორც ფერმწერმა და გრავიორმა, შუქ-ჩრდილის დიდმა ოსტატმა, ჰოლანდიური ფერწერის ოქროს საუკუნის უმნიშვნელოვანესმა წარმომადგენელმა.

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
Rembrandt	**რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი** *(Rembrandt Harmensz van Rijn)* ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	15.07.1606 – 04.10.1669
დაბადების ადგილი	ლეიდენი, ნიდერლანდები. სამხრეთი ჰოლანდია
განათლება	ლეიდენის უნივერსიტეტი (1620)
სტილი და ტექნიკა	რეალიზმი, ფერწერა, ოფორტი
ქმნილებების თემები	პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ჟანრული სცენები, სურათები ისტორიულ და მითოლოგიურ თემებზე
ცნობილი სურათები	„ღამის მზირნი“ (1642), „უძღები შვილის დაბრუნება“ (1668 – 1669), „ხნიერი ქალის პორტრეტი“ (1654), „მამაკაცი ოქროს ჩაფხუტით“ (1650), „დოქტორ ნიკოლას ტულპის ანატომიის გაკვეთილი“ (1632).

საიტი რემბრანდტის შემოქმედების შესახებ
http://rembr.ru/

რემბრანდტის ხელოვნებამ გავლენა იქონია არა მხოლოდ მისი შეგირდებისა და ჰოლანდიელი მხატვრების შემოქმედებაზე, არამედ მთელი მსოფლიოს რეალისტური ხელოვნების განვითარებაზე.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, შავი კალამი, პასტელის ცარცები, ფერადი ფანქრები

განსაზღვრე

1. რა შეიძლება ითქვას მხატვრის ხასიათსა და სულის მდგომარეობაზე ავტოპორტრეტების მიხედვით? რომელი გამომსახველობითი ხერხებია გამოყენებული სურათებში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე შენი ავტოპორტრეტი. ის შეიძლება იყოს გრაფიკული ან ფერწერული. არ დაგავიწყდეს, რომ სახეს აქვს სიმეტრიის ღერძი და მისი დახრა განსაზღვრავს თავის მოძრაობას ფურცელზე.

3. შექმენი პორტრეტი აპლიკაციის ტექნიკით. ეს დაგეხმარება, გაიგო, როგორ იცვლება სახის ხასიათი, მისი გამომეტყველება სახის ნაწილების ცვლილებით.



შეამოწმე შენი თავი

✓ როგორ გესმის მსჯელობა, რომ ადამიანის გარეგნული იერით შეიძლება მისი სულიერი არსის ჩვენება?

10. ადამიანის გამოსახულება სიუჟეტურ ნამუშევრებში

დიალოგი ხელოვნებაზე
რით განსხვავდება სიუჟეტური სურათი სხვა ჟანრებისაგან?

გაიხსენე

ადამიანის რომელი გამოსახულებები დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად მხატვართა ნამუშევრებში?

როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს საგნები და გარემო სიუჟეტურ სურათში, მთავარი როლი მასში ყოველთვის ადამიანს ეკუთვნის, სხვა დანარჩენი კი კომპოზიციაში მისი სახის გამოვლენას ემსახურება.

ადამიანური ურთიერთობები, შრომითი საქმიანობა, ხასიათების დამაჯერებლობა და ცხოვრებისეულობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა გამოჩენილი რუსი მხატვრის, ილია რეპინის რეალისტურ შემოქმედებაში. რეპინის მიერ შექმნილი სახეების გალერეა საოცრად ფართო და მრავალფეროვანია.

სამხატვრო გალერეა

ადამიანის სახეები ი. რეპინის პორტრეტებში

„ზაპოროჟიელი პოლკოვნიკი“. 1880

„კომპოზიტორ მ. პ. მუსორგსკის პორტრეტი“. 1881

„მსახიობ მ. ანდრეევას პორტრეტი“. 1905

აღწერე ადამიანის სახის გამომეტყველება პორტრეტებში.

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
	ილია ეფიმოვიჩ რეპინი ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	15.07.1844 – 04.10.1930
დაბადების ადგილი:	ჩუგუევი, ხარკოვის ოლქი, უკრაინა
განათლება	პეტერბურგის სამხატვრო აკადემია (1863–1871)
წოდებები და ჯილდოები	აკადემიკოსი (1876), სამხატვრო აკადემიის რექ-ტორი (1898–1999)
სტილი და ტექნიკა	რეალიზმი, ფერწერა, გრაფიკა
ქმნილებების თემები	პორტრეტი, პეიზაჟი, სურათები ისტორიულ, ყო-ფით და მითოლოგიურ თემებზე
ცნობილი სურათები	„სადკო“ (1876), „ჯვაროსნული სვლა კურსკის ოლქზე“ (1883), „არ ელოდნენ“ (1884), „ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე“ (1885)
გამონათქვამები	*„არ შემიძლია და არც არასდროს შემეძლო უშუალო ფერ-წერული შემოქმედებით დავკავებულიყავი... ცხოვრება ირგვლივ, ჩვენი რუსული სინამდვილე ძლიერ მაღელვებს, მაშფოთებს, დღედაღამ მაწამებს, მოსვენებას არ მაძლევს და ტილოზე გადატანას ითხოვს“.*

საიტი რეპინის შემოქმედებაზე
http://ilya-repin.ru/

ახალგაზრდა რეპინის ნიჭის დამადასტურებელ ქმნილებად იქცა სურათი „ბურლაკები[1] ვოლგაზე“. სურათი არა მხოლოდ უბრალო ხალხის მონური შრომისადმი თანაგრძნობას იწვევდა, არამედ მისი ძალისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის უნარის რწმენასაც აღვივებდა.

იცი თუ არა

სურათი ისეა აგებული, რომ პროცესია სიღრმიდან მაყურებლისაკენ მოემართება, მაგრამ, ამასთანავე, ფიგურები ერთმანეთს არ ფარავენ. კომპოზიციის ცენტრს ბურლაკები წარმოადგენენ, რომლებიც უზარმა-ზარ ბარჟას ეზიდებიან. თითოეული პერსონაჟი დამოუკიდებელი პორ-ტრეტული ინდივიდუალობით გამოირჩევა. მხატვარი გვერდიგვერდ გვიჩვენებს სხვადასხვა ხასიათს, ტემპერამენტს, ადამიანის ტიპს.

[1] **ბურლაკი** – დაქირავებული მუშა რუსეთში, რომელიც ნაპირ-ნაპირ მიდიოდა და ბაგირით დინების საწინააღმდეგოდ ექაჩებოდა სამდინარო გემს.

„ბურლაკები ვოლგაზე“. 1870–1873. რუსეთის სახელმწიფო მუზეუმი. სანკტ-პეტებრურგი

XIX საუკუნის რუსული რეალისტური ფერწერის უდიდესი მიღწევები რეპინის შემოქმედებას უკავშირდება. მისი სურათები უნიკალურ ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს, რადგანაც ბევრ ქმნილებაში მან თავისი თანამედროვეები, იმ დროის ყველაზე მწვავე პრობლემები და მოვლენები ასახა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელის ცარცები

განსაზღვრე

1. რა შეიძლება ითქვას პერსპექტივის კანონებსა და კოლორიტზე სურათში „ბურლაკები ვოლგაზე“? როგორ გამოიყურება ადამიანთა დაშორებული ფიგურები სურათის პირველ პლანთან შედარებით?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე სიუჟეტური სურათი, გაითვალისწინე კომპოზიციური ცენტრი, პერსპექტივა და კოლორიტი. ეცადე, მშრომელის სახე აჩვენო.

3. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ი. რეპინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

შეამოწმე შენი თავი

✓ როგორი სახეებია აღბეჭდილი რეპინის სურათებზე?

11. ადამიანის გამოსახულება ქანდაკებაში

დიალოგი ხელოვნებაზე
რამდენად მნიშვნელოვანია მასალა ადამიანის გამოსახვისას?

გაიხსენე

რა მასალისაგან შეიძლება პორტრეტის შექმნა?

იმისათვის, რომ შეიქმნას პორტრეტი, რომელიც სიზუსტით ასახავს ადამიანს, მოქანდაკეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მასალას.

აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი მირალი მირასადულა ოღლუ მირგასიმოვი აზერბაიჯანის გამოჩენილი მოქანდაკეა.

სამხატვრო გალერეა

ადამიანის სახე მ. მირგასიმოვის სკულპტურულ პორტრეტებში

„გოგონა მტრედით“. 1959. მარმარილო

„მენავთობე“. 1964. ბრინჯაო. სხმული

„გოგონა“. 1954. მარმარილო

„ჯ. ჯაბარლი“. 1982. გრანიტი

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
	მირალი მირასადულა ოღლუ მირგასიმოვი ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	1924–2003
დაბადების ადგილი	ბაქო, აზერბაიჯანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელი (ბაქო, 1944); რეპინის სახელობის ინსტიტუტი (სანკტ-პეტერბურგი, 1950)
სტილი და ტექნიკა	მარმარილო, ჩამოსხმა, მონუმენტალიზმი
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი (1982)
ქმნილებების თემები	პორტრეტი, ქანდაკებები ყოფით და მითოლოგიურ თემებზე
ცნობილი სურათები	„გოგონას პორტრეტი“ (1954), „გოგონა მტრედით“ (1959), „მენავთობის პორტრეტი“ (1964), „ჯაფარ ჯაბარლი“ (1982)

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

პლასტილინი და თიხა, საძერწი ინსტრუმენტები, დაფა

განსაზღვრე

1. რომელი ქმნილებებია ბიუსტი და რომელი – მონუმენტური ძეგლი?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე ესკიზი გამოსაძერწი პორტრეტისათვის თემაზე „ჩემი საყვარელი გმირი“. გამოძერწე თიხის ან პლასტილინისაგან ამ პერსონაჟის მარტივი პორტრეტი.

3. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია მ. მირგასიმოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ან დაწერე ესე მის რომელიმე ქმნილებაზე.

შეამოწმე შენი თავი

✓ რაში მდგომარეობს ქანდაკებების მსგავსება და განსხვავება?

✓ რა მასალის გამოყენება შეიძლება ქანდაკების გამოსაძერწად?

განმაზოგადებელი დავალებები

1. აჩვენე მხატვრების ქმნილებათა სახეები და ჟანრები თანმიმდევრობით



რემბრანდტი. „უძღები შვილის დაბრუნება“. 1668–1669. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი

კარავაჯო. „ქაბუკი ხილის კალათით“. 1593. ბორგეზეს გალერეა, რომი

სოლთან მუჰამედი. „თახმურასი დევებს ამარცხებს“. 1526. ნიუ-იორკი, მეტროპოლიტენის მუზეუმი

2. განმარტე ჟანრები:

*პორტრეტი *მითოლოგია *ყოფითი

3. განსაზღვრე შუქის წყარო სურათებში. მიუთითე, რომელი განათება უფრო უკეთ გამოკვეთს საგნის ფორმას.

3

ეპოქა, ხალხი და სამოსი

შუა საუკუნეებში, ისევე, როგორც სხვა ეპოქებში, ყველა ხალხმა ადამიანური სილამაზის თავისი იდეალი შექმნა. ეს ცნება ყოველთვის მოიცავდა სამოსის განსაზღვრულ სტილსაც. ადამიანის ჩაცმულობა წარმოდგენას ქმნიდა მისი საზოგადოებრივი და ოჯახური მდგომარეობის, ყოფითი და შრომითი საქმიანობის შესახებ. კოსტიუმის მიხედვით შეიძლებოდა გემსჯელა თითოეული ხალხის კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებზე, ესთეტიკურ გემოვნებასა და ადათებზე.

ევროპის ხელოვნება

12. ქსოვილი, ფერი და ორნამენტი

დიალოგი ხელოვნებაზე

როგორ მზადდება ქსოვილი და როგორია მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში? ახსენი ქსოვილის კავშირი სახვით ხელოვნებასთან.

ქსოვილის ღებვა. ფლამანდიური ხელნაწერის მინიატურა. XV საუკუნე

სელის სამოსის დამზადება. გერმანული ხელნაწერის მინიატურა. XV საუკუნე

გაიხსენე

რომელი ქსოვილები გამოიყენება სამოსის შესაკერად?

ძველი ხელნაწერების, ფრესკების, მინიატურებისა და სურათების მიხედვით, ქსოვილი პირველად შუმერებთან გაჩნდა.

ქსოვილი ტექსტილის ნაწარმი და ხალხის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ელემენტია. უკვე ძველ დროში ქსოვილები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მათ აწარმოებდნენ მცენარეული (ბამბა, სელი) და ცხოველური (ბეწვი, აბრეშუმი) ნედლეულისაგან, მოგვიანებით კი მინერალებისაგან

(ნავთი). საღებავებს, რომლებითაც ქსოვილებს ღებავდნენ, ასევე მცენარეების, მწერებისა და ცხოველებისაგან იღებდნენ.

სურათებს ქსოვილზე სხვადასხვა ხერხით ამზადებდნენ – ქსოვისას ძაფების გადახლართვით, აპლიკაციით, ორნამენტის საღებავით დატანით.

ეგვიპტის ხელოვნება. ქსოვილი მცენარეული ორნამენტით. X–XI საუკუნეები

თანამედროვე დაფა ნაჩითისათვის და მისი ანაბეჭდები

აზერბაიჯანი ცნობილია, როგორც საფეიქრო საქმის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი კავკასიაში. ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, რომლებსაც შუა საუკუნეებში შუშაში, ნახიჩევანში, შექსა და შამახში აწარმოებდნენ, აზერბაიჯანის საზღვრებს მიღმა იყო ცნობილი. განსაკუთრებული მოთხოვნა იყო აზერბაიჯანულ ქსოვილებზე – ზერბაფთზე, ატლასზე, თაფთაზე, ყანაოზზე, ხავერდზე, დარაიაზე, მაუდზე, ქიშმირზე და სხვ. ასევე **ბაფთაზე**[1], როგორც მორთულობის ელემენტზე.

ეს საინტერესოა

ქსოვილების დახასიათება

ატლასი (არაბული სიტყვიდან „გლუვი“) – აბრეშუმის ძაფების ქსოვილი პრიალა ზედაპირით.

ხავერდი – აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი მსუბუქი, ხშირი ხაოთი და ხავერდოვანი ზედაპირით.

მაუდი – შალის მჭიდრო ქსოვილი ზომიერად პრიალა ზედაპირით.

აბრეშუმი – მსუბუქი ქსოვილი, დამზადებული თუთის აბრეშუმხვევიას ჭიის პარკებიდან მიღებული ძაფებით.

ზერბაფთი – მძიმე, ნახჭებიანი ქსოვილი ოქროს ან ვერცხლის ძაფით.

ყანაოზი – აბრეშუმის მჭიდრო ქსოვილი.

[1] **ბაფთა** – აბრეშუმის წნული ზონარი.

აზერბაიჯანული ქსოვილები მხატვრული გაფორმების მიხედვით სამ დიდ ჯგუფად იყოფა: ქსოვილები, რომლებიც შემკულია სხვადასხვა რელიგიური გამონათქვამებით ან აღმოსავლელი კლასიკოსების რობაიებით (ოთხსტრიქონედით); ქსოვილები ორნამენტული ნახჭებით; ქსოვილები სიუჟეტური კომპოზიციებით.

აზერბაიჯანში ძველად შექმნილი ქსოვილები და მათი ნაწარმი ინახება მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმში, კიევის დასავლური და აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმში, პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში, ბოსტონის ნატიფი ხელოვნების მუზეუმში, ლონდონის ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფლომასტერები, ფერადი ფანქრები და კალმები

განსაზღვრე

1. ნახჭების რა სახეებს იყენებდნენ ქსოვილებში?



შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე შენთვის სასურველი ქსოვილი. შეარჩიე მისთვის ფერები და შეამკე ორნამენტებით. შეგიძლია, ქსოვილების ნახატი სქემა გამოიყენო.

3. დაფიქრდი და დაამზადე პატარა ხალიჩის კოლაჟი იმ ნაჭრებიდან, რომლებიც შინ გექნება.

შეამოწმე შენი თავი

✓ ძირითადად, ქსოვილის მორთულობის რომელი ხერხები გამოიყენება?

✓ რა ქსოვილებისაგან დამზადებულ და რა ფერების სამოსს ანიჭებენ უპირატესობას შენი კლასელები, ოჯახის წევრები და ნაცნობები?

13. ევროპული თავსაბურავები

დიალოგი ხელოვნებაზე
კოსტიუმის რომელი ნაწილი ასრულებდა თავდაცვის ფუნქციას და, ყველა დროში, მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო?

გაიხსენე

რა იცი შუა საუკუნეების ევროპის თავსაბურავებზე?

თავსაბურავი მუდამ სამოსის შეუცვლელი ნაწილი იყო.

ფუნქცია. ანტიკურ სამყაროში თავსაბურავებს, უპირველესად, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მეომართა ჩაფხუტები, რომლებიც, თავდაცვის ფუნქციასთან ერთად, სიმამაცის სიმბოლოც იყო. შუა საუკუნეებში და უფრო მოგვიანებით თავსაბურავები სამკაულად და ფუფუნების საგნადაც კი იქცა.

მორთულობა. თავსაბურავებს რთავდნენ ბუმბულებით, ბეწვით, ლენტებით, მარგალიტებითა და ალმასებით. ძვირფასი ქვები, ოქრო, ფარჩა დედოფალთა თავსაბურავებს ამკობდა. ამგვარად, თავსაბურავი ინდივიდუალობის გამომხატველი ხდება.

ფორმა. შუა საუკუნეების თავსაბურავები გამოირჩევა ნახევარწრიული ან ცილინდრული, ხანდახან კი კონუსისებრი ან პირამიდის ფორმით.

გაიხსენე

თავსაბურავების ფორმა და მორთულობა შუა საუკუნეებში

ანტიკური სტილი — *ბიზანტიური სტილი* — *რომანული სტილი*

რენესანსის სტილი

გოტიკური სტილი

ბაროკოს სტილი

როკოკოს სტილი

დაფიქრდი და ახსენი

რით განსხვავდება თავსაბურავების ფორმა და მორთულობა?

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ფერადი ქაღალდი, საღებავები, ფლომასტერები

განსაზღვრე

1. რა ფორმები და მორთულობები გამოიყენებოდა თავსაბურავების დამზადებისას?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დაამზადე აპლიკაციის ტექნიკით შუა საუკუნეების ევროპის რომელიმე თავსაბურავი.

3. (ა) მოიძიე დამატებითი ინფორმაცია შუა საუკუნეების თავსაბურავების შესახებ.

(ბ) მოუხმე ფანტაზიას და მოიფიქრე თავსაბურავის შენეული ვარიანტი. თავდაპირველად ესკიზი შექმენი, შემდეგ კი, მასზე დაყრდნობით, თავად თავსაბურავი დაამზადე.

შეამოწმე შენი თავი

✓ რა საერთო აქვთ და რითი განსხვავდება შუა საუკუნეების ევროპის სხვადასხვა თავსაბურავები?

✓ დღეს როგორ თავსაბურავებს ანიჭებენ უპირატესობას?

14-15. კოსტიუმის როლი

დიალოგი ხელოვნებაზე
არქიტექტურის გარდა, კიდევ რის მაგალითზე შეგვიძლია საზოგადოებაში სხვადასხვა სტილის (ანტიკურის, ბიზანტიურის, გოტიკურის და სხვ.) განვითარებისათვის თვალის მიდევნება?

გაიხსენე

როგორ იცვლებოდა სამოსი უძველესი დროიდან დღემდე?

სამოსის ტარება ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანის დროს დაიწყეს, რათა თბილად ყოფილიყვნენ, არ დასველებულიყვნენ წვიმაში და თავი დაეცვათ მზისაგან. კოსტიუმის მეშვეობით უძველეს ადამიანებს შეეძლოთ ხაზი გაესვათ ამა თუ იმ ტომისა და ჯგუფისადმი თავიანთი კუთვნილებისათვის.

კულტურაში ალბათ არაფერს აქვს იმდენი განსხვავებული ფუნქცია, რამდენიც სამოსს.

კოსტიუმი საზოგადოების განმასხვავებელი ნიშნების მაჩვენებელია, ადამიანის, ქვეყნის, ხალხის, ცხოვრების წესსა და პროფესიის პატარა ნაწილია.

იცი თუ არა

სიტყვა „კოსტიუმი“ იტალიურად „ადათს“, „ჩვეულებას“ ნიშნავს.

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ „ისტორიული კოსტიუმისა“ და „ეროვნული კოსტიუმის“ ცნებები. ეროვნული და ხალხური კოსტიუმები წარმოადგენს სამოსს, რომელიც განსხვავდება სახელმწიფო და გეოგრაფიული საზღვრებისა და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორის მიხედვით.

ისტორიული კოსტიუმი დროსთან ერთად ცვალებადი სამოსია, რომელიც მეტ-ნაკლებად – განსაკუთრებით შუა საუკუნეების ბოლოდან – **მოდას**[1] ექვემდებარება. თითოეული ქვეყანა ყველა ეპოქაში უნიკალურია, აქვს თავისი ადათები და ტრადიციები, ასევე სამოსიც.

დაფიქრდი და ახსენი

რით განსხვავდებოდა ძველი ხალხების კოსტიუმი? რა შეეძლო, ეცნობებინა კოსტიუმს მისი მფლობელის შესახებ?

[1] **მოდა** (ფრანგული სიტყვიდან *mode* – *ზომა, საშუალება, წესი, დანიშნულება*) – განსაზღვრული სტილის დროებით გაბატონება ცხოვრების რომელიმე სფეროსა თუ კულტურაში.

ძველი ხალხების ეროვნული კოსტიუმები

ძველი შუამდინარეთის კოსტიუმი

ძველი ეგვიპტის კოსტიუმი

ძველი საბერძნეთის კოსტიუმი

გაეცანი

ისტორიული სტილები შუა საუკუნეების კოსტიუმებში

ანტიკური სტილის სამოსს, როგორც წესი, ვერტიკალური ნაკეცები აქვს, ფეხსაცმელი კი მხოლოდ ძირისა და ზონრებისაგან შედგება.

ბიზანტიურ სამოსში აღმოსავლეთის გავლენა, ძირითადად, მდიდრულ, ძვირფას ნაჭრებში გამოვლინდა. ბამბის მსუბუქი ქსოვილების ნაცვლად ძვირფას ქსოვილებს იყენებდნენ. ფარჩა დამშვენებული იყო წრეების, კვადრატების, ჯვრებისა და ვარსკვლავების გეომეტრიული მოტივებით.

ანტიკური სამოსი. I–V საუკუნეები

ბიზანტიური სამოსი. IV–VI საუკუნეები

რომანული კოსტიუმი ანტიკურობის მემკვიდრეობას ინარჩუნებდა, მაგრამ გარკვეული ზედმეტობებით. უბრალო, ფართო სამოსი მორთული იყო ნახჭებიანი ქობით.

ვერტიკალური ხაზები და მახვილი კუთხეები **გოტიკის** უმნიშვნელოვანესი ნიშნებია, როგორც არქიტექტურაში, ასევე სამოსში.

აღორძინების ხანის კოსტიუმებში ჭარბობს სიმეტრია და არ არის ზედმეტობები. ეს სამოსი ძვირფასი ქსოვილებისაგან იკერებოდა, რთული ორნამენტებითა და სახელოების უჩვეულო გაფორმებით.

რომანული კოსტიუმი. X–XII საუკუნეები

გოტიკური კოსტიუმი. XII–XVI საუკუნეები

აღორძინების ხანის ესპანური კოსტიუმი. XV–XVII საუკუნეები

ბაროკოს სტილის ფრანგული კოსტიუმი. XVII საუკუნე (ლუდოვიკო XIV-ის ეპოქა)

ბაროკოს სტილისათვის დამახასიათებელია ოფიციალურობა, მძიმე სამოსის შთაბეჭდილება, ფუფუნებისა და ექსცენტრიკულობისაკენ სწრაფვა. **როკოკოს** სტილის კოსტიუმებში ნაკეცების სიჭარბემ, ატლასმა და მრავალმა სხვადასხვა აქსესუარმა ეს სამოსი უფრო დახვეწილი გახადა.

როკოკოს სტილის დასავლეთევროპული კოსტიუმი. XVIII საუკუნე

ეადვილებოდათ თუ არა ადამიანებს ასეთი სამოსის ტარება?

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფლომასტერები, ფერადი ფანქრები

განსაზღვრე

1. არის თუ არა გარკვეული სტილის სამოსსა და არქიტექტურაში საერთო ნიშნები?

დაასრულე აზრი: *„ყოველ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოება აყალიბებდა თავის სტილს, რომელიც ყველაზე უკეთ ვლინდებოდა არქიტექტურასა და ...“*

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე შენთვის მოსაწონი სტილის კოსტიუმის ესკიზი და ეცადე, გადმოსცე დამახასიათებელი თავისებურებები.

3. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის კოსტიუმებზე.

შეამოწმე შენი თავი

✓ უკავშირდება თუ არა კოსტიუმი უშუალოდ ადამიანს, მის განწყობასა და ქცევას? პასუხი დაასაბუთე.

✓ ცდილობ თუ არა იპოვო შენი სტილი ჩაცმულობაში?

16. არისტოკრატიის სამოსი მხატვართა ნახატებში

დიალოგი ხელოვნებაზე
რა როლს ასრულებს სამოსი ადამიანის ცხოვრებაში?

გაიხსენე

როგორ შეიძლება გარეგნული იერით ადამიანის პროფესიის დადგენა? მოიყვანე მაგალითები.

შუა საუკუნეების შეხედულებები ადამიანის გარეგნობის შესახებ სამოსზე აქცენტირდა: ძვირფას ქსოვილებსა და სამკაულებზე, კოსტიუმის მდიდრულ მორთულობაზე. შუა საუკუნეებში, ხელოვნების სახეებს შორის, კოსტიუმი ყველაზე მეტად იყო დაკავშირებული არქიტექტურასთან. კოსტიუმში, ისევე, როგორც არქიტექტურაში, არსებობს თავისი აგებულება და კონსტრუქციული სიცხადე.

იმ დროის მხატვრების მიერ შექმნილი პორტრეტების თვალიერებისას შეგვიძლია გავიგოთ, რას მოგვითხრობს კოსტიუმი მის მფლობელზე. ერთ-ერთი იმ მხატვართაგან, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ სამოსს, არის დიდი ესპანელი ფერმწერი დიეგო ველასკესი.

სამხატვრო გალერეა

სამეფო კარის კოსტიუმები დიეგო ველასკესის ქმნილებებში



ფილიპე IV. 1631–1632. ეროვნული გალერეა. ლონდონი

ინფანტა[1] მარგარიტა. 1656. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი. ვენა

დედოფალი იზაბელა დე ბურბონი. 1631–1632. კერძო კოლექცია

[1] **ინფანტი,** მდედრობითი სქესის შემთხვევაში – **ინფანტა** (ესპანურად *infante* – ბავშვი) – პრინცებისა და პრინცესების ტიტული ესპანეთისა და პორტუგალიის სამეფო კარზე.

დაფიქრდი და ახსენი

რა საერთოა შუა საუკუნეებისა და თანამედროვე კოსტიუმებში?

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
	დიეგო როდრიგეს დე სილვა ველასკესი *Diego Rodriguez de Silva y Velazquez* ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	06.06.1599 – 06.08.1660
დაბადების ადგილი	სევილია, ესპანეთი
განათლება	სწავლობდა ფრანსისკო პაჩეკოსთან
სტილი და ტექნიკა	ესპანური ბაროკო, რეალიზმი, ფერწერა
ქმნილებების თემები	მითოლოგიური, ყოფითი და პორტრეტული ჟანრები
ცნობილი სურათები	„ცხენზე ამხედრებული ფილიპე III-ის პორტრეტი“ (1635), „პაპ ინოკენტი X-ის პორტრეტი“ (1650), „ინფანტა მარია ტერეზას პორტრეტი“ (1652), „მენინები“ (1656), „მრთველები“ (1657)

საიტი ველასკესის შემოქმედების შესახებ
http://www.diegovelazquez.org/

დიეგო ველასკესის, როგორც პორტრეტისტის, ფორმირებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა სამეფო კარზე ცხოვრებამ. მის მიერ შექმნილი სამეფო ოჯახის წევრთა საზეიმო პორტრეტები გამოირჩევა პოზებისა და სამოსის თავშეკავებული დიდებულებით, ინტერიერების სიდიადით.

„მენინები“ (ფრაგმენტი). პრადოს მუზეუმი. 1656–1657. მადრიდი

დიეგო ველასკესის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სურათია „მენინები“. წინა პლანზე პატარა, ქერაკულულებიანი ინფანტა მარგარიტაა, ფრეილინებისა და ჯუჯების გარემოცვაში. გვერდით თავად მხატვარია, რომელიც ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრის პორტრეტს ქმნის. ახალგაზრდა ფრეილინებს, რომლებიც პრინცესას ბავშვობიდან ემსახურებოდნენ, მენინებს უწოდებდნენ. სურათის სახელწოდებაც აქედანაა.

იცი თუ არა

კოსტიუმებს მაღალი წოდების ხალხისათვის, ძირითადად, ნათელი ფერების ნაჭრებისაგან კერავდნენ, უბრალო ხალხისათვის კი – უფრო მუქი შეფერილობის ნაჭრებისაგან. ყოველ ფერს შუა საუკუნეებში საგანგებო, სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგალითად, თეთრი ფერი სიწმინდისა და რწმენის სიმბოლო იყო, შავი – მწუხარების, ლურჯი – ერთგულების, მწვანე – სიყვარულის, ცისფერი – სინაზის. მთლიანად წითელი ფერის – „სისხლისფერ“ – სამოსს, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ჯალათები იცვამდნენ. ყვითელი ფერის სამოსის ტარებას ერიდებოდნენ, რადგანაც ეს ფერი სიძულვილის ფერად ითვლებოდა...

შუა საუკუნეების კოსტიუმი ჩვენს დროშიც აგრძელებს არსებობას. შუა საუკუნეების სამოსის დიდებული მაგალითებით შთაგონებული მოდური დიზაინერები ახალ-ახალ კოლექციებს ქმნიან.

ყველაფერი, რასაც დიზაინერები ამზადებენ, სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს – *მასალის ხარისხს, დამზადებული ნაწარმის ხარისხსა* და *განუმეორებლობას*. ამგვარად, კოსტიუმი თავისთავად იყო სტილის მატარებელი და გამოხატავდა მას სილუეტის, ფერის, ფაქტურისა და დეკორის მეშვეობით.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

A4 ფორმატის ქაღალდის ფურცელი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, სხვადასხვა ნაჭრის ნაკუწები, მოდის ჟურნალი

განსაზღვრე

1. როგორ იცვლებოდა მოდა უძველესი დროიდან დღემდე?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე ქალის ან მამაკაცის შუა საუკუნეების კოსტიუმის ესკიზები. ეცადე, სწორად გათვალო კოსტიუმის კომპოზიციური გადაწყვეტა (სილუეტი, პროპორცია, ფერი).

ოსტატის რჩევები

კოსტუმისაგან პირველ შთაბეჭდილებას მის სილუეტზე ყურადღების გამახვილებით იღებენ. კოსტიუმი შეიძლება პირობითად მოთავსდეს რომელიმე მარტივ გეომეტრიულ ფიგურაში.



კოსტიუმის სილუეტები:
ა – მართკუთხედი;
ბ – ტრაპეცია;
გ – სამკუთხედი;
დ – ოვალი;
ე – ოვალის ნახევრისა და მართკუთხედის შეერთება.

სამუშაოს მსვლელობა:

1. ფურცელზე ფანქრით დახატე გეომეტრიული ფიგურებით შედგენილი კოსტიუმის კონტურები.
2. გამოჭერი ფერადი ქაღალდის ან ნაჭრისაგან კოსტიუმის მოდელების ესკიზები, დაამაგრე ან მიაწებე ისინი პირობითად დახატულ ფიგურას.
3. ფლომასტერით დეტალები დაამატე: ჯიბეები, ღილები, ნახჭები, თასმები, თავსაბურავი, ჩანთა, სამკაულები, ფეხსაცმელი და ა. შ.

3. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ესპანელი მხატვრის, დიეგო ველასკესის შესახებ და გააკეთე პრეზენტაცია.

შეამოწმე შენი თავი

✓ როგორ აისახება კოსტიუმი ადამიანის გარეგნობაზე?
✓ როგორი პროპორციები და სილუეტი აქვს შენს მიერ მოფიქრებულ კოსტიუმს? შეიძლება თუ არა მისთვის რამის დამატება?

აზერბაიჯანის ხელოვნება

17. აზერბაიჯანული თავსაბურავები

დიალოგი ხელოვნებაზე
რა ითვლებოდა ვაჟკაცობის სიმბოლოდ მამაკაცის აზერბაიჯანულ კოსტიუმში? რა დანიშნულება აქვს ამ ნივთს საზოგადოებაში?

გაიხსენე

რომელი ეროვნული თავსაბურავებია ცნობილი აზერბაიჯანში?

აზერბაიჯანში მამაკაცები ფაფახს ყოველთვის ვაჟკაცობის, პატიოსნებისა და ღირსების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. მისი დაკარგვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ფაფახისა და მისი ფორმის მიხედვით შეიძლებოდა ფაფახის მფლობელის სოციალური მდგომარეობის განსაზღვრა. უწესობად ითვლებოდა საზოგადოებრივ ადგილებში თავსაბურავის გარეშე გამოჩენა. მამაკაცის ძირითადი თავსაბურავი იყო ფაფახი გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავის ან კრაველისაგან (ბატკნის ტყავისაგან).

არსებობდა ფაფახის სხვადასხვა ფორმა.

გაეცანი

აზერბაიჯანული თავსაბურავები

იაპა ფაფახ (იგივე გარა ფაფახ – შავი ქუდი). ყარაბახი

მოტალფაფახი (იგივე ჩაბან ფაფახი – მწყემსის ქუდი). ძირითადად, ღარიბი სოფლელები ატარებდნენ

შიშფაფახი (იგივე ბეი ფაფახი – ბეგის ქუდი). ამ ქუდს ბეგები და მდიდარი ხალხი ატარებდნენ.

დოგა (თაგა) ფაფახი – გავრცელებული იყო შექში. ქუდს თავზე ხავერდი ეკრა.



არახჩინი – მამაკაცის არახჩინს მკაცრი გეომეტრიული ორნამენტით ამკობდნენ და შედარებით მკვრივი ქსოვილებისაგან ამზადებდნენ.

ყაბალახი – შედგებოდა კაპიუშონისა და გრძელი მომრგვალებული ბოლოებისაგან, რომლებსაც ყელზე იხვევდნენ.

ემამე (ჩალმის ნაირსახეობა) – სასულიერო პირები იხურავდნენ.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა XVI–XVII საუკუნეების ქალის აზერბაიჯანული თავსაბურავები. შეფერილობით, სილამაზითა და მრავალფეროვნებით ისინი ძალზე მიმზიდველი და საინტერესო იყო.

ყველაზე მეტად იყო გავრცელებული **არახჩინი**. ზოგიერთ მხარეში ქალები მას თავშლის ქვეშ იხურავდნენ. არახჩინებს ამკობდა ოქროს, ვერცხლის, აბრეშუმისა და მარგალიტის მდიდრული ნაქარგი. ტრადიციული ნახჭი იყო ბუტა.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვადასხვა შეფერილობის **ქალაღაია**. ხნიერი ქალები მუქი შეფერილობის აბრეშუმის ამ თავშლებს ატარებდნენ – შავს, ლურჯს, ყავისფერს, ხოლო ახალგაზრდები უფრო ნათელი ფერებისას – თეთრს, ჩალისფერს, ვარდისფერს, ცისფერს, მწვანეს და სხვ.

ნაჩითის ფორმა.



ქალაღაია „ჰერათი“. ფრაგმენტი. აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. ბასკალი

ცივ, ქარიან ამინდში თავზე იხვევდნენ **შალს** (თირმე-შალს, ქაშმირის შალს, ნატურალური მატყლის ხელით ნაქსოვ შალს).

მოდისაგან დამოუკიდებლად, თავსაბურავების დამახასიათებელ ნიშნებად ყოველთვის რჩებოდა მრავალფეროვნება და პრაქტიკულობა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფლომასტერები, ფერადი ფანქრები, ფერადი ქაღალდი

განსაზღვრე

1. რა მასალას იყენებდნენ თავსაბურავების დასამზადებლად? რა ფორმისა იყო თავსაბურავები?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე ქალაღაია ნიმუშის მიხედვით, განსაზღვრე ფერი და შეღებე. გაითვალისწინე ქალების ასაკობრივი თავისებურებები.

ხანჩა – ცენტრალური ნახჭი

ბუთა – ნახჭის ელემენტი

არშია – ნახჭის ზოლი კიდეზე (ბორდიური)

3. (ა) გააკეთე მამაკაცის თავსაბურავის კონსტრუქცია.
(ბ) მოიძიე დამატებითი ინფორმაცია აზერბაიჯანული თავსაბურავების ფორმის, მასალისა და მორთულობების შესახებ.

შეამოწმე შენი თავი

✓ რა აქვთ საერთო და რით განსხვავდება შუა საუკუნეების ევროპისა და აზერბაიჯანის თავსაბურავები?

✓ რა ფუნქცია აქვს თანამედროვე თავსაბურავს?

18-19. საუკუნეთა საგანძური: აზერბაიჯანული ეროვნული სამოსი

დიალოგი ხელოვნებაზე

რით განსხვავდება თამილა გურბანოვას საავტორო თოჯინების ეროვნული კოსტიუმები?

„ნაზლი გელინი“

„მეჯლისი“

„ო ალმასინ, ბუ ოლსუნ“

გაიხსენე

რა ნაწილებისაგან შედგება ეროვნული სამოსი?

ეროვნული კოსტიუმები მატერიალური კულტურის სხვა ელემენტებზე მეტად ასახავს ხალხის თავისებურებებს. XVI–XVII საუკუნეებში ჩამოყა-

ბეგი ცოლით. ბაქო

სოფლელი ცოლით. ბაქო

ლიბდა აზერბაიჯანული ეროვნული კოსტიუმის ნამდვილი სკოლა. ეკონომიკური და სოციალური პირობების გათვალისწინებით, სხვადასხვა დროს კოსტიუმებიც სხვადასხვა იყო. ეს განსხვავება ყველაზე მეტად აისახებოდა არა კოსტიუმის შეკერილობასა და სილუეტზე, არამედ ნაჭერსა და მორთულობაზე.

აზერბაიჯანის ტერიტორია, პირობითად, შეიძლება დაიყოს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონად: ბაქოს, ყარაბახის, განჯის, გაზახის, შამახის, ნახიჩევანის, შექის. ყველა ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მამაკაცისა და ქალის სამოსი, ძირითადად, ერთნაირი იყო, თუმცაღა მცირე განსხვავებები სხვადასხვა ზონის მოსახლეობის კოსტიუმებში მაინც არსებობდა.

გაეცანი

აზერბაიჯანის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ზონის ეროვნული კოსტიუმები. XIX საუკუნე.

დაათვალიერე ეროვნული კოსტიუმები. სამოსის რა ნიშნებით შეიძლება ადამიანის ასაკის, პროფესიის, სოციალური მიკუთვნებულობის დადგენა?

შამახა

განჯა

შექი

გაზახი

დაფიქრდი და ახსენი

რით განსხვავდება სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ზონის ქალისა და მამაკაცის კოსტიუმები. წელიწადის რომელ დროს იცვამენ მათ? როგორი კოლორიტი გამოარჩევს ეროვნულ სამოსს?

ეროვნული კოსტიუმის მნიშვნელოვანი ელემენტია წინდები და ფეხსაცმელი. აზერბაიჯანში განსაკუთრებულად იყო გავრცელებული მატყლის წინდები – *ჯორაბი*. ქალაქელები ცხვირაპრეხილ და უსაქუსარო ტყავის ფეხსაცმელს იცვამდნენ. არისტოკრატები უპირატესობას წაღებს ანიჭებდნენ. სოფლის მაცხოვრებლებს შორის გავრცელებული იყო ტყავის ფეხსაცმელი-ჩარიგები.

საბავშვო სამოსი ფორმით თითქმის ემთხვეოდა დიდების კოსტიუმებს და მხოლოდ ზომითა და ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი ელემენტებით განსხვავდებოდა.

***ბახარი**. საგაზაფხულო ზედა სამოსი*

შუშა *შექი* *შამახა*

აზერბაიჯანულ კოსტიუმებს – მხატვრული ქარგვის, საფეიქრო ხერხებისა და ქსოვის მეშვეობით – ნახჭებითა და ორნამენტებით ამკობდნენ.

აზერბაიჯანული ორნამენტების ჩვეული მოტივებია მცენარეული, გეომეტრიული და ზოომორფული გამოსახულებები.

გეომეტრიული ორნამენტი

მცენარეული ორნამენტი



ზოომორფული ორნამენტი



თარვის უბრალოება და მოსახერხებლობა, განწყობის სიმდიდრე – აი, აღმოსავლური კოსტიუმის მთელი ფილოსოფია. სწორედ ასე იმოსებოდნენ აზერბაიჯანელები – კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ხალხი.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფლომასტერები, ფერადი ფანქრები

განსაზღვრე

1. რა შეიძლება ითქვას ადამიანების წოდებასა და პროფესიაზე მათი კოსტიუმების მიხედვით?

2. გადახაზე ცხრილი ალბომში. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონის ეროვნული კოსტიუმების შესახებ. შეადგინე ცხრილში მოტანილი ყოველი ზონის შედარებითი დახასიათება.

რეგიონები	სამოსის სახეები	სეზონებად დაყოფა	ნაჭრები	ნახჭები
ბაქო				
ყარაბახი				
ნახიჩევანი				
შამახა				
განჯა				
შექი				
გაზახი				

შემოქმედებითი საქმიანობა

3. (ა) მოიფიქრე და დახატე სიუჟეტური კომპოზიცია, რომელშიც აისახება ხალხის ეროვნული კოსტიუმები და ყოფა.
(ბ) მოიფიქრე და დახატე მამაკაცის ან ქალის თანამედროვე კოსტიუმი, გამოიყენე ეროვნული თავისებურებები – კოლორიტი, ორნამენტი, ფორმა.

შეამოწმე შენი თავი

✓ რომელ ქვეყნებში იცვამენ დღესაც ეროვნულ სამოსს?
✓ სად შეიძლება დღეს ნახო აზერბაიჯანული ეროვნული სამოსი?
✓ რა საერთო აქვს და რა განასხვავებს აზერბაიჯანისა და ევროპის ხალხების ეროვნულ კოსტიუმებს?

20. სამოსის მოდა და დიზაინი: თანამედროვე სტილები

დიალოგი ხელოვნებაზე
რა როლს ასრულებს მოდა ადამიანის ცხოვრებაში? ყველა მისდევს მოდას?

გაიხსენე

სამოსის რომელ თანამედროვე სტილებს იცნობ?

მოდის სამყარო მრავალფეროვანია და მისი საზღვრები სამოსის თითოოროლა სტილით არ შემოიფარგლება. სამოსის უამრავი თანამედროვე სტილი არსებობს. მიუხედავად ამისა, მოდა მაინც ინარჩუნებს გასული წლების გარკვეულ მოტივებს. თუკი ჩვენს სამოსს ყურადღებით შევხედავთ, შევნიშნავთ, რომ ეს მოტივები ყოველთვის არსებობს, მხოლოდ მცირედ იცვლის სახეს და ახალი თაობის გემოვნებას ერგება. გავეცნოთ ყველაზე აქტუალურ მოტივებს, რომელთა ელემენტებსაც უფრო ხშირად იყენებენ კოლექციებში თანამედროვე *მოდელიერები*[1]. დიდი ხნის განმავლობაში უცვლელია ტრადიციული სტილები: კლასიკური, რომანტიკული, სპორტული.

გაეცანი

სამოსის სტილი: კლასიკა – უბრალოება და ელეგანტურობა

კლასიკური სტილი ესაა ყოველთვის აქტუალური კოსტიუმი, რომელიც ყველას ესადაგება და ყველგან დროულია. დამახასიათებელი ნიშნები:

- ✓ უბრალოება, ფასონის სიმკაცრე და ელეგანტურობა;
- ✓ ხაზების სისუფთავე და გამოჭრის ლაკონიურობა;
- ✓ ჭარბი დეკორისა და დეტალების არარსებობა;
- ✓ მინიმალური აქსესუარები და მორთულობა, მსუბუქი ფეხსაცმელი;
- ✓ მკვეთრი ფერებისა და მათი კონტრასტების არარსებობა.

---

1 **მოდელიერი** – სამოსის მოდელების დამზადების სპეციალისტი, სამოსის დიზაინერი, სტილის შემქმნელი. მოდელიერმა უნდა იცოდეს კოსტიუმის კომპოზიციის აგების კანონები, ზოგადი კონსტრუქციული გადაწყვეტა, უნდა შეეძლოს ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების აღმოჩენა და, ასევე, უნდა იცნობდეს სამოსის დამზადების ტექნოლოგიას. მოდელიერი ამუშავებს დეკორს, ირჩევს ფერსა და მასალას, იგონებს აქსესუარებსა და დამატებით დეტალებს.

კლასიკური სტილი ჩაცმულობაში შეიძლება სავიზიტო ბარათად იქცეს ადამიანისთვის, რომელსაც სურს, მთელი ცხოვრების განმავლობაში, შარმის სიმკაცრისა და დახვეწილობის შეთავსება. „კლასიკური“ სტილის ადამიანი, მისი კოსტიუმის მსგავსად, მდიდრული, ელეგანტური და უნაკლოა!

სამოსის სტილი: რომანტიზმი – სინაზე და მომხიბლველობა

სხვა მოდური მიმართულებებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ***რომანტიკულმა სტილმა*** შეინარჩუნა რომანტიზმის ეპოქის თავისებურებების უმეტესობა. დამახასიათებელი ნიშნები:

- ✓ ხაზების ნარნარი, თავისუფალი სილუეტი;
- ✓ მსუბუქი, ნაზი და ტალღოვანი ქსოვილები;
- ✓ ფერთა გამა: ნაზი ელფერები, პასტელის ტონები მსუბუქი ნახატით;
- ✓ დეკორის სიუხვე: ფურჩალებისა და ნაკეცების, მაქმანების კასკადები.
- ✓ მსუბუქი, მოხდენილი ფეხსაცმელი;
- ✓ დახვეწილი ნაქარგობა, ხელოვნური ყვავილები, შარფი, ხელთათმანები და სხვა დახვეწილი დეტალები.

*სილამაზე, სინაზე და თვალწარმტაცობა, რომლებიც საფუძვლად დაედო გალანტურობასა და გრაციოზულობას, **რომანტიზმის** განმასხვავებელ ნიშნად იქცა. ეს სტილი შექმნილია, რათა ხაზი გაუსვას სილამაზეს, დახვეწილობას, გრაციას, სენტიმენტალურობასა და თავდაჭერილობას.*

სამოსის სტილი: სპორტი – დინამიკურობა, მოძრაობა და კომფორტი

სპორტული სტილი უძველეს დროში წარმოიშვა, როცა ადამიანმა ფიზიკური ვარჯიშისადმი ინტერესი გამოავლინა. იგი ყველაზე მოსახერხებელ და კომფორტულ სტილად ითვლება, განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ტურიზმი, სპორტი, მოგზაურობა, ბუნებაში სეირნობა. დამახასიათებელი ნიშნები:

- ✓ მაქსიმალური მოსახერხებლობა და პრაქტიკულობა;
- ✓ თავისუფალი სილუეტი, რომელიც მოძრაობის თავისუფლებას ხელს არ უშლის;
- ✓ გარე ჯიბეებისა და ელვა-შესაკრავების არსებობა, ბევრი ნაკეცი, გვირისტების სიუხვე.
- ✓ ჰაერგამტარი, წყალგამტარი, ელასტიკური და გამძლე ნაჭრების გამოყენება;
- ✓ საჩიხიანი კეპები, შარფები, საათები, მოსახერხებელი ფეხსაცმელი, ზურგჩანთები და სპორტული ჩანთები.

*ბევრი თანამედროვე ადამიანისათვის **სპორტული სტილი** არა მხოლოდ მოდაა, არამედ ცხოვრების წესი, რომელიც ჯანმრთელობასთან, კარგ ფორმასთან და დღეგრძელობასთან ასოცირდება.*

იცი თუ არა

გქონდეს შენი სტილი ნიშნავს, გქონდეს შენი ინდივიდუალობა და განსხვავდებოდე გარშემო მყოფებისაგან.

გარეგნულმა იერმა შეიძლება, ბევრი რამ გვითხრას ადამიანის შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია სამოსის სტილებში ორიენტირება და, რაც მთავარია, სიტუაციის შესაბამისი ჩაცმულობის არჩევა.

თანამედროვე მოდა უამრავ ვარიანტს გვთავაზობს, რათა გამორჩეულად და საინტერესოდ გამოვიყურებოდეთ. ისღა გვრჩება, საკუთარ თავში ჩავიხედოთ და დანახული ჩვენს სტილიან გარდერობში ავსახოთ.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

კალმები, ფლომასტერები, ფერადი ფანქრები, პასტელის ცარცები

განსაზღვრე

1. როგორია თითოეული სტილის კოსტიუმის ძირითადი ნიშნები და ფუნქციები?

დახატე ალბომში და ცხრილში აღნიშნე მამაკაცისა და ქალის სამოსის სტილების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.

სამოსის სტილი	სამოსის სახე	ვარცხნილობა	ფეხსაცმელი	აქსესუარები
კლასიკური				
რომანტიკული				
სპორტული				

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე შენთვის მოსაწონი ნებისმიერი სტილის კოსტიუმის ესკიზი ან ჩანახატი. არ დაგავიწყდეს, აჩვენო ქალის ან მამაკაცის სამოსის დამახასიათებელი თავისებურებები.

3. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია დღეს გაბატონებული სხვა სტილების შესახებ.



მართკუთხედის ფორმა



სამკუთხედის ფორმა



ოვალური ფორმა

სამოსის სილუეტის ფორმა



შერეული ფორმა

შეამოწმე შენი თავი

- ✓ რა საერთო ნიშნები აქვს თანამედროვე და შუა საუკუნეების კოსტიუმებს?
- ✓ თანამედროვე სამოსის კიდევ რომელ სტილებს იცნობ?

განმაზოგადებელი დავალებები

1. რა აქვთ საერთო და რა განასხვავებს თავსაბურავებს, სამოსს, ფეხსაცმელსა და აქსესუარებს უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე?

2. რა განსხვავებაა ერთი ტონის, მაგრამ სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილებს შორის?


ხავერდი

სელი

აბრეშუმი

3. ნიმუშებზე დაყრდნობით, მოყევი სამოსზე ყველაფერი, რაც იცი:
*ეპოქა; *სტილი; *მორთულობა; *ქსოვილი; *თავსაბურავები.

4

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული დიზაინი

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება წარმოიშვა ადამიანის მისწრაფებიდან გაელამაზებინა თავისი ყოფა, გამოეხატა სილამაზის მისეული გაგება. ადამიანები საუკუნეთა მანძილზე ქმნიდნენ არაერთ ჭეშმარიტად მაღალმხატვრულ საყოფაცხოვრებო ნივთს, რომლებმაც გამოიარეს გზა უძველესი დროიდან დღევანდელობამდე და გვაწვდიან ინფორმაციას თითოეული ეპოქის შესახებ.

21. ხელით შექმნილი საოცრებები

დიალოგი ხელოვნებაზე
რა მასალისაგან შეიძლება შენი ხელით დაამზადო მარტივი საგნები ან სამკაულები?

გაიხსენე

რა საგნების შექმნა შეიძლება დაწვნისა და ქსოვის ხერხების გამოყენებით?

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება უძველესი დროიდან არსებობს. სხვადასხვა ხალხში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს წვნა და ქსოვა.

ადამიანმა გაცილებით ადრე ისწავლა **დაწვნა,** ვიდრე მეთუნეობა. თავდაპირველად ის გრძელი და დრეკადი ტოტებისაგან წნავდა საცხოვრებელს, სახურავს, ღობეს, ნავს, მრავალნაირ კალათებს, სხვადასხვა საჭირო ნივთებს. ამ ხელობის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტი გამოსადეგი მასალა ჩნდებოდა. უამრავი რამის დაწვნა შეიძლება სხვადასხვა მასალისაგან: ლელქაშისა და თოკის, ტყავისა და მავთულის, ბალახისა და ყვავილებისაგან.

გაეცანი

ისაუბრე ნივთების ფუნქციებზე (სად და რისთვის გამოიყენება). რა იცი საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადებაზე?



დაწვნისაგან, დროთა განმავლობაში, განვითარდა ფეიქრობა. დაწვნის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს ქსოვა. ჩხირებით ქსოვაც დაწვნის ნაირსახეობაა.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

გაზეთი, ფერადი ქაღალდი, მუყაო, თოკი, ლელქაში, ლენტი ან ნამჯა

განსაზღვრე

1. რა მასალისაგანაა მოწნული ნაკეთობები?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დაამზადე პაწია ხალიჩა ფერადი ქაღალდის ან ლელქაშისაგან, დაწვნის ტექნიკით.

ოსტატის რჩევები

აიღე ფერადი ქაღალდის ორი ფურცელი და ერთ-ერთი ზოლებად დაჭერი. მეორე ფურცელი – საფუძველი, თანაბრად გაკეცე და ნაკეცი რამდენიმეგან ჩაჭერი ისე, რომ კიდემდე ორი სანტიმეტრი დარჩეს. შემდეგ დაჭრილი ზოლები ჩაჭრილ ადგილებს უნდა ჩააწნა. ნახელავის გასამრავალფეროვნებლად, შეგიძლია სხვადასხვა სისქის ან კლაკნილი ზოლები დაჭრა.

შეამოწმე შენი თავი

- ✓ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კიდევ რა სახეები არსებობს?
- ✓ ყოველდღიურობაში სად გვხვდება დაწნული ნივთები? რა არის მათი ფუნქცია?

22. ნახჭებით გაუკვდავებული ცხოვრება

დიალოგი ხელოვნებაზე
რა შეიძლება გამოისახოს ხალიჩებზე?
რით გამოირჩევა ასეთი გამოსახულებები?

გაიხსენე

ხალიჩების რა სახეები არსებობს?

ჩვენ გარშემო ბევრი საყოფაცხოვრებო ნივთია, რომლებიც ქსოვის ტექნიკითაა დამზადებული. ერთ-ერთი მათგანია ხეით ნაქსოვი ხალიჩა. შუა საუკუნეებში არსებობდა ხალიჩაზე ადამიანის, მისი ყოფის გამოსახვის ტრადიცია. ასეთ ხალიჩებს **სიუჟეტური** ეწოდებოდა. მათზე ადამიანების გამოსახულებები მინიატურისათვის დამახასიათებელი სიბრტყითობით გამოირჩეოდა.

პორტრეტის ჟანრმა თანამედროვე ხალიჩის ხელოვნებაში განსაკუთრებული ასახვა და ფართო გამოყენება ჰპოვა აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის, ქამილ ალიევის ხალიჩებში. მისი ყველა ხალიჩა-პორტრეტი განუმეორებლადაა შესრულებული, და, რაც მთავარია, ისინი თვალწინ გვიშლიან ხალიჩაზე აღბეჭდილი სახის არსს, მის შინაგან სამყაროსა და დიდებულებას.

სამხატვრო გალერეა

ადამიანის გამოსახულება ქამილ ალიევის ხალიჩა-პორტრეტებზე

მუჰამედ ფუზული. 1958.
ხაო, მატყლი

იმამედინ ნასიმი. 1973.
ხაო, მატყლი

ნიზამი განჯევი. 1978.
ხაო, მატყლი

დაფიქრდი და ახსენი

რით განსხვავდება ფერწერული პორტრეტი ხალიჩა-პორტრეტისაგან?

ქამილ ალიევის მთავარი დამსახურებაა რეალისტური პორტრეტის ჟანრის მეხალიჩეობაში გამოყენება. კლასიკური ორნამენტული ხერხებით იგი ჰარმონიულად უსადაგებდა პორტრეტულ ნაწილს ხალიჩის კომპოზიციის დეკორატიულ მორთულობას.

ქამილ ალიევმა დიდი ადამიანებისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ტილოების მთელი გალერეა შექმნა. ხელოვანმა მოახერხა ოსტატურად დაეკავშირებინა ხალიჩის ზოგადი ორნამენტული წყობა ადამიანის გამოსახულებასთან. ორნამენტული გაფორმების დახმარებით, რომელიც პორტრეტის ერთგვარ ჩარჩოს ქმნის, მას მაყურებელი შეჰყავს თავისი გმირის საქმიანობის, ინტერესების სამყაროში.

გაეცანი

დიდი შემოქმედები	
	ალიევი ქამილ მუსეიბ ოღლუ ***ცხოვრების ქრონოლოგია***
ცხოვრების წლები	22.10.1922 – 01.03.2005
დაბადების ადგილი	ერევანი
განათლება	აზერბაიჯანის ა. აზიმზადეს სახელობის სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელი (დეკორაციის განყოფილება)
წოდებები და ჯილდოები	აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი (1982)
სტილი და ტექნიკა	მხატვარი-მეხალიჩე, გრაფიკა, დიზაინი
ქმნილებების თემები	ორნამენტული და სიუჟეტური ხალიჩები
ცნობილი სურათები	„მ. ფიზული“ (1958), „მ. ფ. ახუნდოვი“ (1978), „ჰ. ალიევი“ (1998), „მ. რასულზადე“ (1992), „დედა“ (2003), „ათათურქი“ (1991)

ქამილ ალიევი მუდამ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პორტრეტული ჩარჩოს გამოსახვას თავის ხალიჩებზე. უსადაგებდა რა კომპოზიციის ზოგად ორნამენტულ დეკორს სხვადასხვა ფორმის ჩარჩოებს (სწორკუთხას, მრგვალს, ოვალურს, ფიგურულს), ოსტატი მათ ფორმის მხრივ შესაფერისი ორნამენტული ელემენტებით აფორმებდა.

ქამილ ალიევის კიდევ ერთი დიდი მიღწევაა მისი პირადი შემოქმედებითი მუზეუმის გახსნა ბაქოში, იჩერიშეხერში, სადაც ოსტატის თითქმის ყველა ქმნილებაა თავმოყრილი.

თავისი შემოქმედებით ქამილ ალიევმა შემოინახა და კიდევ უფრო გაამდიდრა აზერბაიჯანის ხალიჩის ხელოვნება – იგი ქმნიდა ეროვნული სტილის ხატოვან ორნამენტებს, ამკვიდრებდა ფერების ახალ ელფერებს, ადგენდა სხვადასხვა კომპოზიციებსა და სიუჟეტებს.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

ფერადი კალმები, ფლომასტერები, ფერადი ფანქრები, მილიმეტრიანი ქაღალდი

განსაზღვრე

1. რა შეიძლება ითქვას ორნამენტების კომპოზიციაზე ქ. ალიევის მიერ შექმნილ ხალიჩებზე? როგორ დააკავშირა შემოქმედმა ხალიჩის ზოგადი ორნამენტული წყობა პორტრეტულ ნაწილთან?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე მილიმეტრიან ქაღალდზე ხალიჩის ესკიზი, ეროვნული ნახჭების გამოყენებით.

3. დახატე სიუჟეტური ხალიჩა. თავდაპირველად, მონიშნე ორნამენტული ჩარჩო, შიგ კი შენს მიერ მოფიქრებული სიუჟეტი განათავსე. ეცადე, ზოგადი კოლორიტი შეარჩიო.

შეამოწმე შენი თავი

✓ ხალიჩების რა სახეები არსებობს და რითი განსხვავდება ისინი?

✓ როგორ შეძლო ხელოვანმა, გადმოეცა ზოგადი კოლორიტი ხალიჩა-პორტრეტზე?

23. დრო და ჭურჭელი

დიალოგი ხელოვნებაზე

რით განსხვავდება შუა საუკუნეებისა და თანამედროვე სუფრის გაფორმება?

სუფრის გაწყობა არცთუ იოლი საქმეა. იგი მეტყველებს მასპინძლების გემოვნებაზე, სტუმართმოყვარეობასა და კეთილდღეობაზე.

გაიხსენე

რა ჭურჭელს ალაგებენ ხოლმე სუფრის გაშლისას? რა მასალისგანაა დამზადებული ის? ისაუბრე სხვადასხვა ჭურჭლის ფუნქციაზე, ფორმასა და მორთულობაზე.

ჭურჭელი შორეულ წარსულში გაჩნდა. მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე იგი სახლის პატრონის სოციალურ სტატუსს უსვამდა ხაზს. როგორც ძვირფასი კოსტიუმის შემთხვევაში, სადღესასწაულო ძვირფას ჭურჭელსაც მუდამ ყველას დასანახად ფენდნენ. ამისთვის საგანგებო შემინული კარადები – სერვანდებიც კი გამოიგონეს.

ჭურჭლის დასამზადებლად თავდაპირველად თიხას იყენებდნენ. თიხის გარდა, ძველ დროში, ჭურჭელს ქვისგან, ნიჟარისგან, სპილოს ძვლისა და ცხოველთა რქებისგანაც ამზადებდნენ.

შუა საუკუნეებში საჭმლის მოსამზადებელ და პროდუქტების შესანახ ჭურჭელს, ძირითადად, **კერამიკისაგან** ამზადებდნენ.

მინა მოგვიანებით გაჩნდა. მის სამშობლოდ ეგვიპტე ითვლება (ჩვ. წ. აღ-მდე 4000 წელი). ეგვიპტელები მინისაგან ამზადებდნენ სამკაულებსა და სასმისებს.

მინის ეგვიპტური ჭურჭელი

ცერემონიალური ჭურჭელი ევროპელ მონარქთა კარზე. XVI საუკუნე. ვერცხლის ნაკეთობათა მუზეუმი. ფლორენცია

ბერძნული და რომაული ცივილიზაციების აყვავების ხანაში მეტად იყო გავრცელებული **ვერცხლისა** და **ბრინჯაოს** ჭურჭელი.

ევროპაში პირველი ვერცხლის ჭურჭელი შუა საუკუნეებში გაჩნდა. ყველა მდიდარი ადამიანისა და დიდებულის სახლში მოდური იყო ვერცხლის ნივთების, მათ შორის ჭურჭლის, ქონა. ვერცხლის დანა-ჩანგალსა და კოვზებს საგულდაგულოდ უფრთხილდებოდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ – ისინი, ერთგვარად, ინახავდნენ ოჯახის ისტორიის პატარა ნაწილს. ეს ჭურჭელი ზოგჯერ ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყო ხოლმე.

ეს საინტერესოა

სუფრის უძველეს ნივთად ითვლება დანა, ყველაზე ახალგაზრდად კი – ჩანგალი. ძველ საბერძნეთში კოვზების ნაცვლად ნიჟარებს ხმარობდნენ. თეფშები, ჭიქები და ლამბაქები მხოლოდ XV საუკუნეში გაჩნდა. მანამდე, მათ მაგივრად, გამოიყენებოდა ქოთნები და ჯამები.

იცი თუ არა

ძველ დროში ქვისაგან გამოკვეთილი ჭურჭელიც არსებობდა.

თასი. ქვაში კვეთა. XVIII საუკუნე. აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი

სამოვარი. ქვაში კვეთა. XIX საუკუნე. აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი

ჩვენს დროში ბევრი კოლექციონერი აგროვებს ჭურჭელს, როგორც ხელოვნების ქმნილებებსა და მხატვრული კულტურის ისტორიის ნიმუშებს.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

პლასტილინი ან თიხა, გუაში და უფერო ლაკი

განსაზღვრე

1. ბუნების რომელი ფორმები უდევს საფუძვლად შუა საუკუნეების ჭურჭელს?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. თანაკლასელებთან ერთად, სცადე გამოძერწო მთელი სერვიზი. თავდაპირველად, ბუნების ფორმების გამოყენებით (ცხოველების, ფრინველების, მწერების, თევზების, მცენარეების), სხვადასხვა ჭურჭლის ესკიზები დახატეთ. შემდეგ, ჭურჭლის მასალის (ფერის) გათვალისწინებით, გამოძერწეთ ისინი. ზედაპირი გუაშითა და ლაკით შეღებეთ და სერვიზის ყველა ელემენტი ერთ ანსამბლში გააერთიანეთ.

3. დახატე თანამედროვე ჭურჭელი, გამოიყენე შუა საუკუნეების ჭურჭლეულის ელემენტები.

შეამოწმე შენი თავი

✓ რით განსხვავდება ყოველდღიური მოხმარებისა და სადღესასწაულო ჭურჭელი?

✓ რა მსგავსებაა შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ჭურჭელს შორის?

24-25. ავეჯის დიზაინი და დეკორი

დიალოგი ხელოვნებაზე

კოსტიუმის გარდა, კიდევ რა არის დაკავშირებული არქიტექტურული სტილების განვითარებასთან?

გაიხსენე

როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა პირველი ავეჯის შექმნა?

შუა საუკუნეების საყოფაცხოვრებო ნივთები ადასტურებს დეკორატიულ -გამოყენებითი ხელოვნების ფორმათა მრავალფეროვნებას. ამ ხელოვნების განსაკუთრებულ დარგს განეკუთვნება ავეჯი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული არქიტექტურული სტილების ისტორიასთან.

ავეჯის ხელოვნების განვითარებაში აისახა სხვადასხვა ეპოქის საზოგადოების სოციალურ-ყოფითი წყობა, მისი მატერიალური კულტურის, საზოგადოებრივი შეხედულებებისა და გემოვნების ევოლუცია. ავეჯის სტილი ფორმის, დეტალების, პროპორციების, საგნის მოხატულობისა და გაწყობის ერთობლიობაა. დროთა განმავლობაში ავეჯის მრავალი ფორმა და ტიპი შეიქმნა, გაჩნდა მასალის დამუშავებისა და გაწყობის სხვადასხვა ხერხები.

ეს საინტერესოა

კაცობრიობის ისტორიაში პირველი, სხვადასხვა ნივთის შესანახად გამოყენებული, ავეჯი იყო ხის ტანისაგან დამზადებული კარადა. შემდეგ ადამიანებმა დაიწყეს ფიცრებისაგან ყუთების შეკვრა, ხოლო, როცა ამ ყუთებს თავსახურიც გაუკეთეს, გამოვიდა სკივრი. სკივრი არა მხოლოდ ნივთების შესანახად გამოიყენებოდა, არამედ საწოლისა და სკამის მაგივრობასაც სწევდა. სკივრების მოდა რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა. სკივრი სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდა. პატარძლის მზითევს სკივრში აწყობდნენ და ასე მიართმევდნენ ხოლმე ახალგაზრდებს.

გაეცანი

ანტიკური სტილი. სწორედ ანტიკურ ხანაში გახდა ავეჯი მოსახერხებელი და მიმზიდველი. ავეჯის ოსტატები არა მხოლოდ გეომეტრიაში ერკვეოდნენ შესანიშნავად, არამედ მხატვრული ნიჭიც ჰქონდათ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ავეჯის დამზადებისას.

ბიზანტიური სტილი. ბიზანტიურ ავეჯს, არსობრივად, ახალი არაფერი მოუტანია. იგი ფორმის მხრივ უფრო მარტივია, ვიდრე ანტიკური. მხატვრულ ეფექტს აღწევდნენ ავეჯის უხვად გაწყობით ფერადი მოხატულობით, სპილოს ძვლით, ინკრუსტაციით, ძვირფასი ქვებით, სმალტითა და მეტალით.

რომანული სტილი. რომანული ავეჯი მასიური ფორმების ლაკონიზმით გამოირჩეოდა. სკივრი უნივერსალური ყოფითი ავეჯი იყო. იგი ერთდროულად სწევდა საწოლის, სკამისა და სამგზავრო ჩემოდნის მაგივრობას.

გოტიკური სტილი. ეს მნიშვნელოვანი ეტაპია ავეჯის სტილების განვითარებაში. ჩნდება ჭურჭლის პირველი კარადები. გოტიკურ ინტერიერში ავეჯი ბოლომდე მოძრავი არაა – ბევრი ავეჯი კვლავაც კედლებშია ჩაშენებული. გამოიყენება მოჩუქურთმება, აჟურული, ზედაპირული ორნამენტი მცენარეული ელემენტებით, ხვეულებით, რომლებიც, მეტწილად, წითლად ან მწვანედაა შეღებილი. აჟურული მოჩუქურთმება შესრულებულია გოტიკური არქიტექტურული მოტივების სახით.

რენესანსის (აღორძინების) სტილი

ბაროკოს სტილი

როკოკოს სტილი

რენესანსის (აღორძინების) სტილი. რენესანსის ავეჯს ახასიათებს გამოკვეთილი ფორმა, ცხადი აგებულება და გადაწყვეტის განსაკუთრებული ინდივიდუალობა. ფართოდ ვრცელდება ნაკეთობების ორნამენტულ-არქიტექტურული გაფორმება, ხოლო ტექნიკაში – ინკრუსტაცია[1], ხეზე კვეთა.

ბაროკოს სტილი. ამ სტილის ავეჯი მდიდარია ვარაყითა და ინკრუსტაციით, მას გადაკრული აქვს დეკორატიული ქსოვილები და მორთულია ფოჩებით. ბაროკოს სტილის ავეჯი დიდებულია, მასში ჩნდება დახვეწილი დეკორის მოტივები.

როკოკოს სტილი. საფრანგეთში ეს ეტაპი მეფე ლუდოვიკო XV-ის მმართველობას ემთხვევა, ამიტომ ფრანგულ როკოკოს, ხანდახან, ლუდოვიკო XV-ის სტილსაც უწოდებენ. როკოკოს სტილი, უმთავრესად, საგანთა ორნამენტულ-დეკორატიულ წყობას შეეხო.

ავეჯი უმთავრეს როლს ასრულებდა შუა საუკუნეების ინტერიერის გაფორმებაში. იგი ქმნიდა განსაზღვრულ სტილსა და ატმოსფეროს, ასევე გავლენას ახდენდა კომფორტისა და შენობაში ყოფნის მოსახერხებლობის ხარისხზე.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

განსაზღვრე

1. რომელი გეომეტრიული ფორმა წარმოადგენს თითოეული ავეჯის საფუძველს?

რა საერთოა შენთვის ცნობილი არქიტექტურის, კოსტიუმისა და ავეჯის სტილებში? გადახატე ცხრილი ალბომში და ეცადე, აღნიშნო დეტალების მსგავსება.

[1] **ინკრუსტაცია** (ლათინური სიტყვიდან incrustatio – სიტყვასიტყვით *„ქერქით დაფარული“*) – ნაკეთობის ნახჭებითა და გამოსახულებებით მორთვა მარმარილოს, მეტალის, ხის, სპილოს ძვლისა და ფერადი ქვების ნატეხებისაგან, რომლებსაც ზედაპირზე განალაგებენ.

სტილი	ზოგადი ნიშნები		
	არქიტექტურა	კოსტიუმი	ავეჯი
ანტიკური			
ბიზანტიური			
რომანული			
გოტიკა			
აღორძინება			
ბაროკო			
როკოკო			

შემოქმედებითი საქმიანობა

2. დახატე ავეჯის რომელიმე სახეობა შენთვის მოსაწონ ისტორიულ სტილში. თავდაპირველად დახატე გეომეტრიული ფიგურა, რომელიც ამ ავეჯს უდევს საფუძვლად, ხოლო შემდეგ დააზუსტე დეტალები და ფერი.

3. დახატე ავეჯი, რომელშიც ერთდროულად აისახება რამდენიმე სტილი, ან შექმენი შენი, ყველაფრისაგან გამორჩეული ვარიანტი, რომელიც გამოხატავს შენს წარმოდგენას სილამაზესა და კომფორტზე.

შეამოწმე შენი თავი

✓ რა მნიშვნელობა აქვს ავეჯს საზოგადოების განვითარებაში?

✓ სად შეიძლება, დღეს ნახო სხვადასხვა სტილის ავეჯი?

26. ინტერიერის დიზაინი

დიალოგი ხელოვნებაზე
რა ეწოდება შენობის შიდა ნაწილს?

გაიხსენე

შემოქმედებითი დავალებების შესრულებისას შენ არაერთხელ გამოგისახავს ინტერიერი. რა არის გასათვალისწინებელი სახლის შიდა მოწყობის ჩვენებისას?

შენობის შიდა სივრცეს, რომელიც ადამიანის საცხოვრებელი, სამუშაო და მოსასვენებელი ადგილია, **ინტერიერი** ეწოდება. ხელოვნების ქმნილებები, რომლებიც ინტერიერს ასახავენ, როგორც წესი, სახვითი ხელოვნების ყოფით ჟანრს განეკუთვნებიან.

გაეცანი

ინტერიერი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში



ანტიკური სტილი

ბიზანტიური სტილი



რომანული სტილი

გოტიკური სტილი

რენესანსის სტილი

ბაროკოს სტილი

სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში საზოგადოების განვითარება ინტერიერშიც აისახებოდა. სტილებად დაყოფა პირობითია, სტილი ყოველთვის ცოცხლობს და იცვლება, იგი ყალიბდება განსაზღვრული ეპოქის ყოფის, კულტურისა და მოვლენების ზეგავლენით.

როკოკოს სტილი

რაში გამოიხატება არქიტექტურული სტილების გავლენა ინტერიერზე?

ინტერიერის ასახვა არა მხოლოდ მისი გარეგნული ნიშნების ცოდნას მოითხოვს, არამედ პერსპექტივაში გამოსახვის კანონზომიერებების ცოდნასაც.

გაიხსენე

სურათის სიბრტყეზე ჰორიზონტის ხაზის დონე განისაზღვრება ხედვის წერტილის სიმაღლით. პარალელური ხაზების გაგრძელებისას მუდამ გვეჩვენება, რომ ისინი ჰორიზონტზე ერთდება. მათი გადაკვეთის ადგილს თავშეყრის წერტილი ეწოდება.

ინტერიერის პერსპექტივა შეიძლება იყოს კუთხის და ფრონტალური.

ფრონტალური პერსპექტივა (თავშეყრის ერთი წერტილი) – როცა საგანი ჩვენს მიმართ ფრონტალურად (პირდაპირ) არის განლაგებული და ჩვენ მხოლოდ მის ერთ მხარეს ვხედავთ.





ფრონტალური ინტერიერის კომპოზიციური სქემა

კუთხის პერსპექტივა (თავშეყრის ორი წერტილი) – როცა საგანი ჩვენს მიმართ კუთხითაა განლაგებული და ჩვენ შეგვიძლია მისი წახნაგების, გვერდების, ზედაპირების დანახვა.





კუთხის პერსპექტივის კომპოზიციური სქემა

ყველას აქვს თავისი საყვარელი ფერები და ფერის მისეული აღქმა. დიდწილად ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული, როგორი იქნება სახლი – მყუდრო და კომფორტული თუ ცივი და პირქუში. ამა თუ იმ ინტერიერის ფერის არჩევისას ასევე გასათვალისწინებელია შენობის დანიშნულება და მისი ზოგადი გადაწყვეტა.

დაიმახსოვრე
სწორად შერჩეულ გაფორმებაზეა დამოკიდებული განწყობა, შრომისუნარიანობა, ჩვენი ცხოვრების მოსახერხებლობა და კომფორტი.

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

საღებავები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები

განსაზღვრე

1. აჩვენე ფრონტალური და კუთხის პერსპექტივები მოცემულ სტილებში. რა შეიძლება ითქვას ინტერიერების ფორმასა და ფერების გადაწყვეტაზე?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. გააკეთე სხვადასხვა სტილის ოთახების ინტერიერების ჩანახატები (მისაღების, საძინებლის, კაბინეტის, დერეფნის, სამზარეულოსი). ხაზობრივი პერსპექტივის წესების გამოყენებით, ჩახატე ინტერიერში შესაბამისი სტილის ავეჯი.

3. შექმენი თანამედროვე ინტერიერის შენი ვარიანტი. იფიქრე ოთახისა და ავეჯის დიზაინზე.

შეამოწმე შენი თავი

✓ რატომ გამოსახავენ მხატვრები თავიანთ ნახატებზე ინტერიერს?

✓ როგორ ეხმარება ინტერიერი მხატვარს ქმნილების ძირითადი იდეის გამოსახვაში?

27. მსოფლიოს მუზეუმები

დიალოგი ხელოვნებაზე
სად ინახება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა სახვითი ხელოვნების კოლექციები?

გაიხსენე

მსოფლიოს რომელ მუზეუმებს იცნობ?

გაეცანი

ლონდონის ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმს წარმოადგენს **ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი** (შემოკლებით V&A). აქ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის მსოფლიოში უდიდესი კოლექცია. დღესდღეობით მის ექსპოზიციაში 6,5 მილიონზე მეტი ექსპონატია. მუზეუმი 1852 წელს დაარსეს პრინცმა ალბერტმა და დედოფალმა ვიქტორიამ.

მუზეუმი ფლობს კერამიკის, მინის, ტექსტილის, კოსტიუმების, ვერცხლის, რკინის ნაკეთობათა, ძვირფასეულობის, ავეჯის, შუა საუკუნეების ნივთების, ქანდაკებების, ბეჭდური გამოცემებისა და გრაფიკის, ნახატებისა და ფოტოების მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და უსრულეს კოლექციებს. აქ დაცულია კლასიკური ქანდაკების უმდიდრესი კოლექცია, ასევე იტალიური რენესანსის ექსპონატების იტალიის საზღვრებს გარეთ არსებულ კოლექციათაგან უდიდესი. მუზეუმი დამშვენებულია მოხატულობებით, მოზაიკითა და ფრესკებით, რომლებიც შესრულებულია შუა საუკუნეებისა და რენესანსის ცნობილ ოსტატთა სტილში.

ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმის ოფიციალური საიტი
http://www.vam.ac.uk/

ფლორენციის უფიცის გალერეა (მას ასევე უწოდებენ პალაცოს (სასახლეს) ფლორენციაში) – მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმი, სადაც გამოფენილია ცნობილი ევროპელ მხატვართა ქმნილებები – იტალიაში მდებარეობს. ფლორენცია აღორძინების ეპოქის ქალაქი-სიმბოლოა. გალერეა განთავსებულია შენობაში, რომელიც მთავრობის კანცელარიისათვის აშენდა. იგი 1575 წელს დაარსდა, მედიჩების გვარის კოლექციის ბაზაზე, და ფლობს იტალიური და ევროპული ფერწერის მსოფლიოში უმდიდრეს კოლექციას. სურათების გარდა მუზეუმი ასევე ფლობს ანტიკური ქანდაკების ორიგინალებისა და ასლების, აღორძინების ეპოქის ინტერიერის საგნებისა და გრაფიკული ნამუშევრების მნიშვნელოვან კოლექციას.

უფიცის გალერეაში სულ 45 დარბაზია, რომელთა ნაწილი ცალკეული მხატვრების შემოქმედებას ეძღვნება. უპირატესობა, ცხადია, აღორძინების დროის შემოქმედებს ენიჭება: ჯოტოს, სანდრო ბოტიჩელის, ლეონარდო და ვინჩის, ტიციანსა და კარავაჯოს. აქვეა ანტიკური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, ჰოლანდიური და ფლამანდიური ხელოვნების არაერთი ნიმუში.

უფიცის გალერეის ოფიციალური საიტი
http://www.virtualuffizi.com/

დავალებები დამოუკიდებლად მუშაობისათვის

განსაზღვრე

1. მე-7 კლასში გაცნობილ ხელოვნების ნიმუშთაგან რომელია დაცული ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში და უფიცის გალერეაში?

შემოქმედებითი საქმიანობა

2. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია მსოფლიოს მუზეუმების შესახებ და მოამზადე პრეზენტაცია.

შეამოწმე შენი თავი

✓ რა როლს ასრულებს მუზეუმები ადამიანის ცხოვრებაში?

განმაზოგადებელი დავალებები

1. როგორ აისახა შუა საუკუნეების ევროპაში წარმოქმნილი ისტორიული სტილები არქიტექტურაზე, სამოსსა და ავეჯზე? განსაზღვრე სხვადასხვა სტილის თავისებურებები.

2. მოცემული თანმიმდევრობის მეშვეობით, განსაზღვრე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახეები.

ავეჯი → სპილენძის დამუშავება → დაწვნა → ხალიჩის ქსოვა



3. განსაზღვრე ხალიჩის სახელწოდება და თემა.

TƏSVİRİ İNCƏSƏNƏT – 7
Ümumtəhsil məktəblərinin 7-ci sinfi üçün Təsviri incəsənət fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər: **Kəmalə Əhməd qızı Cəfərzadə**
Məhsəti İsa qızı Məmmədova

Tərcüməçi **N.Vaşakidze**
Redaktor **C.Nozadze**
Bədii redaktor **T.Məlikov**
Texniki redaktor **Z.İsayev**
Dizayner **E.Çikarişvili**
Rəssamlar **M.Hüseynov, E.Məmmədov**
Korrektor **N.Kusraşvili**

Dərsliyin gürcü dilində nəşri "Deogene" nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin 24.07.2014-cü il tarixli 842 №-li əmri ilə təsdiq olunmuşdur.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 4,8. Fiziki çap vərəqi 6. Səhifə sayı 96. Kağız formatı 70 × 100$^{1}/_{16}$.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

"YAZ" nəşriyyatı
Bakı, AZ 1001, H.Seyidbəyli küç. 30

Pulsuz